

სპორტული ჟურნალი

№7 სექტემბერი, 2000

ფასი 2 ლარი  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

# სპორტიული



### 3 მინილ სურბულაქა ფარადი გურთუღაი გამჭვირვალე კალათიდან

ჩემპიონთა ლიგა, ყველა ჯგუფი,  
განრიგი, სტატისტიკა

### 6 ირაკლი გამყრალიძე სნოგარის ფურცვლისას

ქართველების ფიასკო ევროთასებზე

### 8 გიორგი ვაშაქია საქართველო შემსირდა

ცვლილება ეროვნულ ჩემპიონატში

### 9 ფახურთი ქაჭავაძე თბილისის „დინამოს“ ტრიუმფალური სვლა თასების თასისკენ ოცი წლის წინ, სექტემბერში დაიწყო ამბავი მეთევქემეტეფინაღისა

კოშკი ინასპარიძე

### 12 ლაშა ჯაფარიძე ყველა, ყველა, ყველას წერილი მეოთხე

### 16 ილია ბაბუნაშვილი ელდა მოგწონთ ოქროს გოლის წესი?

### 18 სხვადასხვა

### 20 ბაიოზ თალაქვაძე აიკვავლი საფეხი მეამფსნე სდიდან სამი ერის პირველობა

### 21 ავთანდილ ოცხვიხელი საქართველოს ოლიმპიური გუნდის ჯგუფური პორტრეტი ყველაზე: ტიტულოვანი, მაღალი, დაბალი, მძიმე... ქართველი

### 22 ავთანდილ ოცხვიხელი სიდნეი, ხუთი რგოლი და ზოოლოგიური მიმოსილვა სიდი, მილი და ოლი

### 25 დადოფლის რაინდები

### 14-15 გვირდო

ლუიშ ფიგუ (პორტუგალია, მადრიდის „რეალი“)

### ბარეკანაზა

- I კახი კალაძე და ლეო ლერინცი.  
„ცრენა ზეზდა“ ბელგრადი — „დინამო“  
კიევი XI. ჩემპიონთა ლიგა. 23.08.2000
- II ანდრეი შევჩენკო (მილანი) ზაგრების  
„დინამოს“ წინააღმდეგ. ჩემპიონთა ლიგა.
- III შვედი მოცურავე ტერენზა ალსამარი
- IV რუმინეთი ნაკრები



რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი  
რედაქტორის მოადგილე  
სოსო კოტოგამიშვილი  
ტექნიკური რედაქტორი  
გურამ ხელაშვილი  
ოპერატორი მარინა ტაბიძე

მრჩეველთა საბჭო:  
ვახტანგ ზზიკაძე, სოლომონ  
გულისაშვილი, ავთანდილ  
გურასაშვილი, ემზარ ზენაიშვილი,  
ზურაბ მეფველია, ზურაბ ფოცხვერია

ბაზემ სარბიელის დაბატება

რეკლამა უფრნალ «სარბიელში» — 93 16 08

# ფერადი ბურთულები გამჭვირვალე კალათებიდან

**მტვრის ფენა იზრდება და ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინანდელ გულისწყრომას ფარავს. ებოქა შეიცვალა ამას ყველა უნდა შეეგუოს, ხოლო ვინც ვერ მთახერხებს, საკუთარ სიბრაზესთან მარტო დარჩება.**

## მინილ სერგულაქა

**მეოცეულის** ფეხბურთის სამყაროში საბოლოოდ გამეფებულ უეფას ჩემპიონთა ლიგაზე მოგახსენებთ. ხომ გახსოვთ, თავიდან, როდესაც ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ჯგუფური ეტაპი გამოჩნდა, ტრადიციულ პლეი-ოფს წლობის ნახევრი საზოგადოება აღშფოთდა, ან, იქნებ შეშფოთდა, მაგრამ შემდეგ დაინახა, რომ შფოთვა ვე-

ლარაფერს ცვლის, შეჯიბრების ახალი სისტემა კი სეზონიდან სეზონამდე მეტად და მეტად შლის ფრთებს. და აი, 2000 წლის 25 აგვისტოს, როდესაც მონაკოს კონგრეს-სასახლის დარბაზში გამჭვირვალე კალათებში ჩაყრილი სხვადასხვა ფერის ბურთულები გამოიტანეს და მათი სათითაოდ ამოღება დაიწყეს, მტკვერწყარილი გულისწყრომა აღარავის გახსენებია. ცნობის-

**ჰელსინგბორგი – ინტარი ანუ ღაპიტი და გოლიათი: ზაქლორფი (№10) ჰანსონის ნინაღმდეგ**



REUTERS



სანამ ნილს ყრილენი – 2000 წლის 25 აგვისტო. უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი

მოყვარეობა მხოლოდ ერთს მი-სწერებოდა: ვინ ვისთან მოხვდება ჯგუფში? თუ ამ ფურცელს გადაშლით, ჩემპიონთა ლიგის მონაწილე ოცდათორმეტივე გუნდს იზილავთ ჯგუფებში ჩაწყობილსა და კალენდრით შეკმაზულს. ამის მისაღწევად კი უეფას კრიტერიუმთა შემოღება, დაცვა და საქმეში კომპიუტერის ჩარევა მოუხდა.

კომპიუტერმა თამაშთა განრიგი შეადგინა, ხოლო კრიტერიუმები ასეთი გახლდათ:

1. ერთი და იმავე ქვეყნის კლუბები ერთმანეთს განარიდეს;
2. ერთი და იმავე ქვეყნის კლუბებს (მათ გარდა ვისაც სამი ან ოთხი კლუბი ჰყავს) თამაშების დღეები სამშაბათსა და ოთხშაბათს გაუნაწილეს;
3. ყველა მონაწილეს პირველი ჯგუფური ეტაპის ექვსი მატჩიდან სამის გამართვა სამშაბათს მოუხდება, სამისაც — ოთხშაბათს.

32 გუნდი ოთხ კალათად კოეფიციენტების მიხედვით დაყვეს და ბურთულების ამოღებას ამის მიხედვით მოყვნენ. ჯერ პირველი, უძლიერესთა კალათა დაცალეს — ყველა გუნდს თავისი ჯგუფი მიუჩინეს, შემდეგ მათ სათითაოდ მიუსვეს მეორე კალათის ბინადარნი და ასე შემდეგ, სანამ ყველაფერი ისე არ ჩაწიკვნიდა, როგორც შემდგომ გვერდებზეა ნახვებები.

თუმცა 32 უძლიერესის გარკვევას წინ სამი შესარჩევი ეტაპი უძღოდა. პირდაპირ ლიგაში ანუ ჯგუფურ ეტაპზე თამაშის უფლება 16 გუნდს ჰქონდა, ხოლო

კიდევ 16-ის გასარკვევად მხოლოდ რეიტინგის მიხედვით და ობიექტურად სუსტებმა დიდი ბრძოლები გადაიტანეს.

იმთავითვე განთესილები გახლდნენ: რეალი, იუვენტუსი, ბარსელონა, ბაიერნი, ლაციო, მანჩესტერ იუნაიტედი, მონაკო, ვალენსია, სპარტაკი, პარი სენ-ჟერმენი, დეპორტივო ლა კორუნია, არსენალი, ჰსვ ეინდჰოვენი, ბაიერი, ოლიმპიაკოსი და სპორტინგი.

მათ შეემატნენ: მილანი, გალათასარაი, შახტარი, ჰამბურგი, ბეიქითაში, სპარტა, შტურმი, ლიონი, პანათინაიკოსი, დინამო, ლიდს იუნაიტედი, გლაზგო რეინჯერსი, რუსენბორგი, ჰელსინგბორგი, ანდერლეხტი და ვალენსია.

ყველაზე სენსაციური — ჩვენთვის მაინც — მილანის „ინტერის“ მარცხი და ღონეცკის მახტიორყოფილი „შახტარის“ წარმატება გახლდათ.

საქართველოს ჩემპიონი კი შეჯიბრებას გამოეშინა, თუმცა ეს სამწუხაროდ სულაც არ გაგვიკვირებია. პირველი ეტაპიდან გასული 16 გუნდი ანუ თითოეულ ჯგუფში პირველ და მეორე ადგილებზე გასული შექმნიან მეორე ეტაპის (21 ნოემბერი — 14 მარტი) ოთხ ჯგუფს, რომელთა ორ-ორი გამარჯვებულიც მეოთხედფინალში (3-4 აპრილი — 17-18 აპრილი) ითამაშებს. მეოთხედფინალს, ცხადია, ნახევარფინალი. (1-2 მაისი 8-9 მაისი) მოჰყვება, ხოლო ყველაფერს 23 მაისის ფინალი და აგვირგვინებს. იგი მილანში, „სან სიროზე“ დანიშნული.

REUTERS



# ჩემპიონთა ლიგა 2000-2001



CHAMPIONS  
LEAGUE

## A ჯგუფი

CHAMPIONS  
LEAGUE

		1	2	3	4	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1	<b>რეალი</b> მადრიდი, ესპანეთი									
2	<b>სპარტაკი</b> მოსკოვი, რუსეთი									
3	<b>ბაიერი</b> ლევერკუზენი, გერმანია									
4	<b>სპორტინგი</b> ლისაბონი, პორტუგალია									

- I ტური. 12 სექტემბერი, 2000  
სპარტაკი — ბაიერი  
სპორტინგი — რეალი
- II ტური. 20 სექტემბერი, 2000  
რეალი — სპარტაკი  
ბაიერი — სპორტინგი
- III ტური. 27 სექტემბერი, 2000  
ბაიერი — რეალი  
სპარტაკი — სპორტინგი
- IV ტური. 17 ოქტომბერი, 2000  
რეალი — ბაიერი  
სპორტინგი — სპარტაკი
- V ტური. 25 ოქტომბერი, 2000  
ბაიერი — სპარტაკი  
რეალი — სპორტინგი
- VI ტური. 7 ნოემბერი, 2000  
სპარტაკი — რეალი  
სპორტინგი — ბაიერი

## B ჯგუფი

		1	2	3	4	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1	<b>ლაციო</b> რომი, იტალია									
2	<b>სპარტა</b> პრაღა, ჩეხეთი									
3	<b>არსენალი</b> ლონდონი, ინგლისი									
4	<b>შახტარი</b> დონეცკი, უკრაინა									

- I ტური. 12 სექტემბერი, 2000  
სპარტა — არსენალი  
შახტარი — ლაციო
- II ტური. 20 სექტემბერი, 2000  
ლაციო — სპარტა  
არსენალი — შახტარი
- III ტური. 27 სექტემბერი, 2000  
არსენალი — ლაციო  
სპარტა — შახტარი
- IV ტური. 17 ოქტომბერი, 2000  
ლაციო — არსენალი  
შახტარი — სპარტა
- V ტური. 25 ოქტომბერი, 2000  
არსენალი — სპარტა  
ლაციო — შახტარი
- VI ტური. 7 ნოემბერი, 2000  
სპარტა — ლაციო  
შახტარი — არსენალი

## C ჯგუფი

		1	2	3	4	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1	<b>ჰერენვენი</b> ჰოლანდია									
2	<b>ვალენსია</b> ესპანეთი									
3	<b>ოლიმპიკოსი</b> პირეოსი, საბერძნეთი									
4	<b>ლიონი</b> საფრანგეთი									

- I ტური. 12 სექტემბერი, 2000  
ვალენსია — ოლიმპიკოსი  
ლიონი — ჰერენვენი
- II ტური. 20 სექტემბერი, 2000  
ჰერენვენი — ვალენსია  
ოლიმპიკოსი — ლიონი
- III ტური. 27 სექტემბერი, 2000  
ოლიმპიკოსი — ჰერენვენი  
ვალენსია — ლიონი
- IV ტური. 17 ოქტომბერი, 2000  
ჰერენვენი — ოლიმპიკოსი  
ლიონი — ვალენსია
- V ტური. 25 ოქტომბერი, 2000  
ოლიმპიკოსი — ვალენსია  
ჰერენვენი — ლიონი
- VI ტური. 7 ნოემბერი, 2000  
ვალენსია — ჰერენვენი  
ლიონი — ოლიმპიკოსი

## D ჯგუფი

		1	2	3	4	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1	<b>შტურმი</b> გრაცი, ავსტრია									
2	<b>ბალთისარაი</b> სტამბოლი, თურქეთი									
3	<b>მონაკო</b> საფრანგეთი									
4	<b>რეინჯერსი</b> გლასგო, შოტლანდია									

- I ტური. 12 სექტემბერი, 2000  
ბალთისარაი — მონაკო  
რეინჯერსი — შტურმი
- II ტური. 20 სექტემბერი, 2000  
შტურმი — ბალთისარაი  
მონაკო — რეინჯერსი
- III ტური. 27 სექტემბერი, 2000  
მონაკო — შტურმი  
ბალთისარაი — რეინჯერსი
- IV ტური. 17 ოქტომბერი, 2000  
შტურმი — მონაკო  
რეინჯერსი — ბალთისარაი
- V ტური. 25 ოქტომბერი, 2000  
მონაკო — ბალთისარაი  
შტურმი — რეინჯერსი
- VI ტური. 7 ნოემბერი, 2000  
ბალთისარაი — შტურმი  
რეინჯერსი — მონაკო



# ჩემპიონთა ლიგა 2000-2001



## CHAMPIONS LEAGUE

### ე ჯგუფი

## CHAMPIONS LEAGUE

		1	2	3	4	მ	წ	ბ	ქ
1	<b>დეპორტივო</b> ლა კორუნია, ესპანეთი								
2	<b>ჰამბურგი</b> გერმანია								
3	<b>იუვენტუსი</b> ტურინი, იტალია								
4	<b>პანათინაიკოსი</b> ათენი, საბერძნეთი								

I ტური. 13 სექტემბერი, 2000  
ჰამბურგი — იუვენტუსი  
პანათინაიკოსი — დეპორტივო

II ტური. 19 სექტემბერი, 2000  
დეპორტივო — ჰამბურგი  
იუვენტუსი — პანათინაიკოსი

III ტური. 26 სექტემბერი, 2000  
იუვენტუსი — დეპორტივო  
ჰამბურგი — პანათინაიკოსი

IV ტური. 18 ოქტომბერი, 2000  
დეპორტივო — იუვენტუსი  
პანათინაიკოსი — ჰამბურგი

V ტური. 24 ოქტომბერი, 2000  
იუვენტუსი — დეპორტივო  
დეპორტივო — პანათინაიკოსი

VI ტური. 8 ნოემბერი, 2000  
ჰამბურგი — დეპორტივო  
პანათინაიკოსი — იუვენტუსი

### ფ ჯგუფი

		1	2	3	4	მ	წ	ბ	ქ
1	<b>ბაიერნი</b> მიუნხენი, გერმანია								
2	<b>რუსენბორგი</b> ტრონჰიმი, ნორვეგია								
3	<b>პარი სენ ჟერმანი</b> პარიზი, საფრანგეთი								
4	<b>ველსინგბორგი</b> შვედეთი								

I ტური. 13 სექტემბერი, 2000  
რუსენბორგი — ვსშ  
ველსინგბორგი — ბაიერნი

II ტური. 19 სექტემბერი, 2000  
ბაიერნი — რუსენბორგი  
ვსშ — ველსინგბორგი

III ტური. 26 სექტემბერი, 2000  
ვსშ — ბაიერნი  
რუსენბორგი — ველსინგბორგი

IV ტური. 18 ოქტომბერი, 2000  
ბაიერნი — ვსშ  
ველსინგბორგი — რუსენბორგი

V ტური. 24 ოქტომბერი, 2000  
ვსშ — რუსენბორგი  
ბაიერნი — ველსინგბორგი

VI ტური. 8 ნოემბერი, 2000  
რუსენბორგი — ბაიერნი  
ველსინგბორგი — ვსშ

### გ ჯგუფი

		1	2	3	4	მ	წ	ბ	ქ
1	<b>ანდერლეხტი</b> ბრიუსელი, ბელგია								
2	<b>ჰსვ ეინდჰოვენი</b> ჰოლანდია								
3	<b>დინამო</b> კიევი, უკრაინა								
4	<b>მანჩესტერი</b> ინგლისი								

I ტური. 13 სექტემბერი, 2000  
ჰსვ ეინდჰოვენი — დინამო  
მანჩესტერი — ანდერლეხტი

II ტური. 19 სექტემბერი, 2000  
ანდერლეხტი — ჰსვ ეინდჰოვენი  
დინამო — მანჩესტერი

III ტური. 26 სექტემბერი, 2000  
დინამო — ანდერლეხტი  
ჰსვ ეინდჰოვენი — მანჩესტერი

IV ტური. 18 ოქტომბერი, 2000  
ანდერლეხტი — დინამო  
მანჩესტერი — ჰსვ ეინდჰოვენი

V ტური. 24 ოქტომბერი, 2000  
დინამო — ჰსვ ეინდჰოვენი  
ანდერლეხტი — მანჩესტერი

VI ტური. 8 ნოემბერი, 2000  
ჰსვ ეინდჰოვენი — ანდერლეხტი  
მანჩესტერი — დინამო

### დ ჯგუფი

		1	2	3	4	მ	წ	ბ	ქ
1	<b>ბავიქთაში</b> სტამბოლი, თურქეთი								
2	<b>ბარსელონა</b> ესპანეთი								
3	<b>ლიდს იუნაიტედი</b> ინგლისი								
4	<b>მილანი</b> იტალია								

I ტური. 13 სექტემბერი, 2000  
ბარსელონა — ლიდსი  
მილანი — ბავიქთაში

II ტური. 19 სექტემბერი, 2000  
ბავიქთაში — ბარსელონა  
ლიდსი — მილანი

III ტური. 26 სექტემბერი, 2000  
ლიდსი — ბავიქთაში  
ბარსელონა — მილანი

IV ტური. 18 ოქტომბერი, 2000  
ბავიქთაში — ლიდსი  
მილანი — ბარსელონა

V ტური. 24 ოქტომბერი, 2000  
ლიდსი — ბარსელონა  
ბავიქთაში — მილანი

VI ტური. 8 ნოემბერი, 2000  
ბარსელონა — ბავიქთაში  
მილანი — ლიდსი

# ბნობარის ფურცლისას

## ირაკლი გაყჩაღიძე

როგორც ბევრ თქვენგანს, ბავშვობაში მეც ძალიან მიყვარდა ყოველწლიური საფეხბურთო ცნობარების თვალყურება. ამ ცნობარებს ჩვეულებრივად ერქვა: „ფეხბურთი 76“ ან „ფეხბურთი 78“ და ა.შ. პირველ გვერდებზე ჩვენი ფეხბურთელების ჰალსტუხიანი ფოტოები იყო, ბოლო გვერდებზე კი გასული წლის ევროტურნირების შეხვედრათა შედეგები.

წლიდან წლამდე ვათვალიერებდი ამ შედეგებს და ვფიქრობდი: რატომ თამაშობს ისლანდიის „ვალოური“ ევროტურნირებზე? ის ხომ გამუდმებით აგებს? ანდა, იმავე ქვეყნის „ფრაში“, ან მალტის „ლა ვალეტა“ და „ფლორიანა“? დაეჯახებიან კაი-კაი გუნდებს, ან სულაც ცუდ-ცუდ გუნდებს, ნააგებენ შინაც, გარეთაც და თავისუფალნი არიან. რა რჯით? წლიდან წლამდე ასეა. ხომ არ შეიძლება, გაუთავებლად აგებდე? რა არის ამამი სასიამოვნო და საინტერესო?

მაშინ ნასწავლმა ძიებმა ამიხსნეს: შვილო, ეგენი მოყვარულები არიან. დალაქები, კლერკები, ფოსტალიონები, მძღოლები. ფეხბურთი უყვართ. სამუშაოდან თავისუფალ დროს ვარჯიშობენ და ამ საქმეში ფულს არ იღებენ, მოიგებენ თუ წააგებენ

**ჩემპიონთა ლიგა**

I საკვალიფიკაციო ეტაპი. 12.19 ივლისი

დუბაიანში (ლუქსემბურგი) - ლევსკი (სოფია, ბულგარეთი) 0:4, 0:2  
 ჰაბა (ვალკაჟოსკი, ფინეთი) - ლინფილდი (გაღფასტი, ჩრდ. ირლანდია) 1:0, 1:2  
 სლოვა იუგოგაგანტი (ბაქაფონია) - შელბურნი (დუბლინი, ირლანდია) 0:1, 1:1  
 გირკირკარა (გალტა) - რეიკიავიკი (ისლანდია) 1:2, 1:4  
 ლანსანტფრეიდი (უელსი) - ლევილი (გაარდუ, ესტონეთი) 2:2, 0:4  
 კლასკვიკარი (ფაროები) - ცრვენა ზვეზდა (გაღბრადა, იუგოსლავია) 0:3, 0:2  
 ჟალგირისი (კაუნასი, ლიტვა) - ბროტნიო (პოსნია) 4:0, 0:3  
 შირაქი (გიუმრი, სომხეთი) - გატა (პორისოვო, ბელარუსი) 1:1, 1:2  
 სკონტო (რიბა, ლატვია) - შამპირი (ბუარაბიჰანი) 2:1, 1:4 დ.დ. (1:2)  
 ტირანა (ალბანეთი) - ზიმბრუ (კიშინიოვი, მოლდოვა) 2:3, 2:3

II საკვალიფიკაციო ეტაპი. 26 ივლისი - 2 აგვისტო

ცრვენა ზვეზდა (გაღბრადა, იუგოსლავია) - ტორავაო (ჟუთარისი) 4:0, 0:2  
 დინამო (ბუჰარესტი, რუმინეთი) - პოლონია (ვარშავა, პოლონეთი) 3:4, 1:3  
 ბეჰიქთაში (სტამბოლი, თურქეთი) - ლევსკი (სოფია, ბულგარეთი) 1:0, 1:1  
 შტურმი (გრაცი, ავსტრია) - ჰაჰოელი (თელ ავივი, ისრაელი) 3:0, 2:1  
 ჰაილუკი (სალიტი, ხორვატია) - დუნაფერი (უნგრეთი) 0:2, 2:2  
 ანდორლახტი (ბრიუსელი, ბელგია) - ანარტოსისი (ფარგუსტა, კვიპროსი) 4:2, 0:0  
 შელბურნი (დუბლინი, ირლანდია) - რუსენგორგი (ტრონვიში, ნორვეგია) 1:3, 1:1  
 გლაზგო რეინჯერსი (გოთლანდია) - ჟალგირისი (კაუნასი, ლიტვა) 4:1, 0:0  
 ჰაბა (ვალკაჟოსკი, ფინეთი) - ინტარი (გრატისლავა, სლოვაკეთი) 0:0, 0:1  
 კელსინგორგი (შვედეთი) - გატა (პორისოვო, ბელარუსი) 0:0, 3:0  
 ბრონდოვი (კოპენაგენი, დანია) - რეიკიავიკი (ისლანდია) 3:1, 0:0  
 შახტარი (დონეცკი, უკრაინა) - ლევილი (გაარდუ, ესტონეთი) 4:1, 5:1  
 ზიმბრუ (კიშინიოვი, მოლდოვა) - გრანიკი (მარიბორი, სლოვენია) 2:0, 0:1  
 სლავია (პრაღა, ჩეხეთი) - შამპირი (ბუარაბიჰანი) 1:0, 4:1

III საკვალიფიკაციო ეტაპი. 8.23 აგვისტო

დუნაფერი (უნგრეთი) - რუსენგორგი (ტრონვიში, ნორვეგია) 2:2, 1:2  
 კელსინგორგი (შვედეთი) - ინტარი (გილანი, იტალია) 1:0, 0:0  
 მილანი (იტალია) - დინამო (ზაგრაბი, ხორვატია) 3:1, 3:0  
 ტიროლი (ინსბრუკი, ავსტრია) - ვალენსია (ესპანეთი) 0:0, 1:4  
 სანტ პალეი (შვიცარია) - გალათასარაი (სტამბოლი, თურქეთი) 1:2, 2:2  
 ჰეროლინი (დანი) - გლაზგო რეინჯერსი (გოთლანდია) 0:3, 0:3  
 პოლონია (ვარშავა, პოლონეთი) - კანათინიკოსი (ათენი, საბერძნეთი) 2:2, 1:2  
 ანდორლახტი (ბრიუსელი, ბელგია) - პორტუ (პორტუგალია) 1:0, 0:0  
 ლიფს იუნაიტედი (ინგლისი) - შიუსხენ 1860 (გერმანია) 2:1, 1:0  
 დინამო (კიევი, უკრაინა) - ცრვენა ზვეზდა (გაღბრადა, იუგოსლავია) 0:0, 1:1  
 შახტარი (დონეცკი, უკრაინა) - სლავია (პრაღა, ჩეხეთი) 0:1, 2:0 დ.დ. (1:0)  
 ბეჰიქთაში (სტამბოლი, თურქეთი) - ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი) 3:0, 3:1  
 შტურმი (გრაცი, ავსტრია) - ფიენოორდი (როტარდამი, ჰოლანდია) 2:1, 1:1  
 ბრონდოვი (კოპენაგენი, დანია) - ჰაგერბი (გერმანია) 0:2, 0:0  
 ზიმბრუ (კიშინიოვი, მოლდოვა) - სპარტა (პრაღა, ჩეხეთი) 0:1, 0:1  
 ინტარი (გრატისლავა, სლოვაკეთი) - ლიონი (საფრანგეთი) 1:2, 1:2

**ინტერტოტოს თასი**

I ეტაპი. I მატჩი

18 ივნისი, 2000. თბილისი. ერთფული. 7 000 მაყურებელი

**დინამო (თბილისი) 2:2 სტანდარდი (ლიეჟი, ბელგია)**

ბი გოგოლაძე (8), 20 ზირაძეშვილი (39), 21 ვოსი (77), 22 ფლორენი (86)  
 დინამო: გრიშკაშვილი, ვაშაძე, შელია, ა. სანაძე, კ. გოგოლაძე, დათუაძე (ბურდული 38), სიჭინავა (ქემოკლიძე 89), რ. არველაძე, გუჭუა, ანაბაძე, ზირაძეშვილი (მ. ბობოხიძე 66)  
 მწვრთნელი: ჯემალ ჩიმაკაძე  
 სტანდარდი: ტელეშანი, ასელოზინი, მორი, ჟაკენი, პილიქანი, პასკალინო, საგლამი (ვანდებოლი 46), უსალა, ვალასიაკი (მალიფიერი 86), პეტერსი (ფლორენი 21), ვოსი  
 მწვრთნელი: დანიელ ბოკარი  
 გაფრთხილება: ვოსი (60), ანაბაძე (82), მორი (90)  
 მსაჯე: ზურ ეიალი (ისრაელი)

სამასხუნი მატჩი

24 ივნისი, 2000. ლიუჟი. შლეიხენი. 1 000 მაყურებელი

**სტანდარდი (ლიეჟი, ბელგია) 1:1 დინამო (თბილისი)**

ბი ზირაძეშვილი (28), ბი ვან ბუიტენი (75)  
 სტანდარდი: სუსნარა, მორი (პასკალინო 46), ვან ბუიტენი, ბლეი, ვუდლო, იობო, ტიხისი (პეტერსი 46), ჟაკენი, უსალა, ვალასიაკი, ელ იანანი (ფლორენი 70)  
 მწვრთნელი: დანიელ ბოკარი  
 დინამო: გრიშკაშვილი, ქემოკლიძე, ვაშაძე, ა. სანაძე, კ. გოგოლაძე (მ. ბობოხიძე 75), დათუაძე (მონახელიძე 58), სიჭინავა, რ. არველაძე, ანაბაძე, ზირაძეშვილი, შამიაშვილი  
 მწვრთნელი: ჯემალ ჩიმაკაძე  
 გაფრთხილება: მორი (18), ვუდლო (78), ბობოხიძე (81)  
 მსაჯე: საჟან ველკანი (ლუქსემბურგი)

**ჩემპიონთა ლიგა**

II საკვალიფიკაციო ეტაპი. I მატჩი

26 ივლისი, 2000. ბელგრადა. მარაგანა. 25 000 მაყურებელი

**სტანდარდი (ლიეჟი, ბელგია) 4:0 ტორავაო (ჟუთარისი)**

ბი დრულაი (24), 20 ბოშკოვიჩი (27), 30 პანაოვიჩი (39), 40 დრულაი (90)  
 სტანდარდი: კოვიჩი, მარკოვიჩი (ბუნევიჩი 67), გლოგოვაცი, გოზდენიჩი, ილიჩი, დრულაი, ბოშკოვიჩი, პანაოვიჩი (სტეფანოვიჩი 73), ლალატოვიჩი, ბაიჩეტიჩი, ლერინჯი (ზორიჩი 38)  
 მწვრთნელი: სლავოლიუბ მუსლინი  
 ტორავაო: ზოიძე, იონანიძე (მ. ბობოხიძე 76), მახვილაძე, არჩვაძე, დ. ჯანაშია (კ. კვეტჩაძე 46), მეგრელიძე (ინედაძე 46), სიჭინავა, ჩხეტიანი, გუჭუა, ახვლედიანი, ხვდაგაიანი  
 მწვრთნელი: დავით ყიფიანი  
 გაფრთხილება: ილიჩი (11), ლალატოვიჩი (21), ახვლედიანი (27), კვეტჩაძე (47), მახვილაძე (58)  
 მსაჯე: დიტმარ დრახტი (ავსტრია)

სამასხუნი მატჩი

2 აგვისტო, 2000. ქუთაისი. ტორაპედი. 12 000 მაყურებელი

**ტორავაო (ჟუთარისი) 2:0 სტანდარდი (ლიეჟი, ბელგია)**

ბი ინედაძე (42), 20 ჯანაშია (90)  
 ტორავაო: ზოიძე, იონანიძე (ასათიანი 80), მახვილაძე, არჩვაძე, გ. ჩხიძე, დ. ჯანაშია, სიჭინავა, გუჭუა, ახვლედიანი (თურმანიძე 67), ინედაძე (მეგრელიძე 64), ხვდაგაიანი  
 მწვრთნელი: დავით ყიფიანი  
 სტანდარდი: ვაშაძე, კოვიჩი, გლოგოვაცი, ბუნევიჩი, გოზდენიჩი (ანიმოვიჩი 88), ილიჩი (მარკოვიჩი 43), დრულაი, ბოშკოვიჩი (გეორგიოსკი 73), ვიტაკიჩი, ბაიჩეტიჩი, სტეფანოვიჩი, ზორიჩი  
 მწვრთნელი: სლავოლიუბ მუსლინი  
 გაფრთხილება: არჩვაძე (45), ინედაძე (58), ვიტაკიჩი (75)  
 მსაჯე: იურაი რენე (ინგლისი)



პროფესიონალი

პროფესიონალი ქართველები კი ჰა-ჰა, შვიდი-რვა მოვაროვით და ეს ციფრიც გადამეტებული ჩანს. სული დღევანდელი ქართული ფეხბურთისა არის სამოყვარულო და მუქთი. ჩვენს ფეხბურთს არ გამოჰყვავა თუნდაც საბჭოთა კავშირის უმაღლესი ლიგის განწყობილებანი. სამწუხაროდ, ესეც არ გამოჰყვავა. ჩვენი ფეხბურთის დღევანდელი სული არის მემკვიდრე, საუკეთესო შემთხვევაში მეორე ლიგის მეცხრე ზონის შეჯიბრებებსა და უარეს შემთხვევაში, საბჭოთა დროის საქართველოს ჩემპიონატისა. თუმცა, სპეციალისტები ამბობენ, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ის შეჯიბრება თავისი ეგზოტიკით და სულსკვეთებით ჯობდა დღევანდელს. და წარმოიდგინეთ, იმ დროის შიდარესპუბლიკური ქართული გუნდები ევროპაში.

და ვინ იცის, ეგებ ზის ევროპის რომელიმე ქალაქში პატარა ბიჭი და ფურცლავს ყოველწლიურ ცნობარებს და ეკითხება ნასწავლ და გამოცდილ ძიას — რა რჯით ამ „დინამობებს“, „ტორპედოებს“, „ლოკომოტივებს“, „მარგვეტებს“, „კოლხეთებს“ და ასე დაუსრულებლად, რომ არ ეზარებათ და ყოველ ზაფხულს ნასაგებად დაიარებიან ევროპის ქალაქებში.

და ბიძა დაინყებს: ეგენი შეილო, ალბათ მოყვარულები არიან. ყოველ შემთხვევაში აწყობთ, რომ მოყვარულებად ჩათვალონ. მოყვარულს ხომ თავი არ სტკივა. მაგათ, შეილო... ყველას შეუძლია გააგრძელოს ლექცია ამ თემაზე.

ვიტ ჯორჯია – ბაიბაროვი 0:3. თბილისელი ვიორგი ქორიძე (შუაში) უბრაალ ფალიძს ჰალფონს (№9) შეაჩება

დიდ ევროპულ გუნდებთან, მათთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. უფრო სწორად, იციან, რომ ვერ მოიგებენ, იმიტომ, რომ მოყვარული ვერასოდეს მოუგებს პროფესიონალს. გამოწვევისი მხოლოდ სოციალისტური ქვეყნების ფეხბურთია, იმიტომ, რომ იქ მოყვარულები ვითომ მოყვარულები არიან, სინამდვილეში კი პროფესიონალები ვახლავან. ოღონდ კი, მაინც არ არიან

პროფესიონალები, რადგან მოყვარულთა ბევრი ნიშან-თვისება შენარჩუნებული აქვთ.

ახლა რომ ვისხვებ, ეს ჭკვიანური ლაპარაკი იყო. ჩვენი ფეხბურთის სილატაკე და საზოგადო უკლასობა ერთია, მაგრამ მის იდეოლოგიურ უბედურებად ის რჩება, რომ მისი სტატუსი არამოყვარულისა კი არის, მაგრამ იმავდროულად არაპროფესიონალისაც ვახლავს. ანუ, პროფესიონალიზმი ეტყობა ყველა რუმინელ ფეხბურთელს,

**უეფას თასი**

საკვალიფიკაციო ეტაპი. I მატჩი  
10 აგვისტო, 2000. თბილისი. ეროვნული. 10 000 მაყურებელი

**პიტ ჯორჯია (თბილისი) 0:3 ბაიბაროვი (მარსელი). ისრაელი**

0:1 მიზრახი (30), 0:2 განიონი (60), 0:3 როსო (90)

**პიტ ჯორჯია:** მერლანი, კობიაშვილი, დეკანოზიძე (საჯაია 33), ჯ. მუჯირი, გიორგი ქორიძე, ლ. ნოზაძე, ლ. მელქაძე, ხაჭაპურიძე (დ. დოლიძე 84), დიდიმელაშვილი, ყიფიანი, ქანკოტაძე

**მწვრთნელი:** სერგო კობრიკაძე

**ბაიბაროვი:** კორნევიჩი, აშალაშვილი, ტელასნიკოვი, როსო, პალფონი, სივილია (პამარი 63), მიზრახი, განიონი (დერი 82), სავინი, შანდორი (აბუქსისი 41), სტილიანოსკი

**მწვრთნელი:** ელი გუტმანი

**გაფრთხილება:** ქანკოტაძე (22), სივილია (44), კორნევიჩი (47), ყიფიანი (55)

**მსაჯი:** მეთინ თოქათი (თურქეთი)

**უეფას თასი**

საკვალიფიკაციო ეტაპი. I მატჩი  
10 აგვისტო, 2000. პრატისლავა. ტექსტული პოლე. 4 321 მაყურებელი

**სლოვანი (ბრატისლავა) 2:0 ლოკომოტივი (თბილისი)**

1:0 იანულა (37), 2:0 პრნარი (70)

**სლოვანი:** ბერნადი, ტიმკო, ბალიში (კრისი 59), პეცკო, პანიკი (შლაპორი 65), იანულა (კობზერი 83), სედლაკი, იფიკი, მესაროში, გიოგი, პრნარი

**მწვრთნელი:** სტანისლავ იარაბეკი

**ლოკომოტივი:** ლომბია, ბალაშვილი, ბურნაძე (გონიაროვი 72), აბრაშიძე, თოდუა, გოგიანიშვილი, კვარაცხელია, ა. ჯელაძე (სუროძე 52), დავითაშვილი (მ. ძიძუაშვილი 61), გ. შენგელია, ლ. მიქაძე

**მწვრთნელი:** რევაზ ძიძუაშვილი

**გაფრთხილება:** ტიმკო (4), ბურნაძე (39), დავითაშვილი (60), მიქაძე (73), შენგელია (82), იფიკი (89), კრისი (90)

**მსაჯი:** კარმენ ალექსიევი (ბულგარეთი)

საბასუსი მატჩი  
24 აგვისტო, 2000. იერუსალიმი. ტყვი. 7 000 მაყურებელი

**ბაიბაროვი (მარსელი) 1:1 პიტ ჯორჯია (თბილისი)**

1:0 შანდორი (47), 1:1 მელქაძე (65)

როსომ ვერ გაიტანა პენალტი (55, აციღლა)

**ბაიბაროვი:** კორნევიჩი (ო. კონი 63), აშალაშვილი, ტელასნიკოვი, როსო, აბუქსისი, პალფონი (ო. კონი 75), მიზრახი, პამარი (აბურჯელი 63), სავინი, შანდორი, სტილიანოსკი

**მწვრთნელი:** ელი გუტმანი

**პიტ ჯორჯია:** მერლანი, კობიაშვილი, დეკანოზიძე (ხაჭაპურიძე 57), საჯაია, ჯ. მუჯირი, გიორგი ქორიძე (სულთანშვილი 77), ლ. ნოზაძე, ლ. მელქაძე, დიდიმელაშვილი (ზ. გვაზავა 82), ყიფიანი, ქანკოტაძე

**მწვრთნელი:** ვლადიმერ ხაჩიძე

**გაფრთხილება:** ყიფიანი (51), სავინი (58), მიზრახი (73)

**მსაჯი:** კრეტიშკოვ სლუპიკი (პოლონეთი)

საბასუსი მატჩი  
24 აგვისტო, 2000. თბილისი. ეროვნული. 7 000 მაყურებელი

**ლოკომოტივი (თბილისი) 0:2 სლოვანი (ბრატისლავა) სლოვაკეთი**

0:1 მესაროში (37), 0:2 გიოგი (80)

**ლოკომოტივი:** ლომბია, აბრაშიძე, თოდუა, გოგიანიშვილი, კვარაცხელია, ა. ჯელაძე (სუროძე 46), ხიზანიშვილი, გ. შენგელია (მ. ძიძუაშვილი 64), ლ. მიქაძე, გონიაროვი, პარამონოვი (ბალაშვილი 41)

**მწვრთნელი:** რევაზ ძიძუაშვილი

**სლოვანი:** ბერნადი, ტიმკო, ბალიში, პეცკო, პანიკი (კრისი 73), იანულა, სედლაკი, იფიკი, მესაროში (შლაპორი 89), გიოგი, პრნარი

**მწვრთნელი:** სტანისლავ იარაბეკი

**მსაჯი:** სტივენ დანი (ინგლისი)



19 აგვისტოს, შპირცვალის  
დღეს, საქართველოს  
მეთორმეტე პიროვნული,  
ახალწორმატიანი  
თორმეტგუნდა ჩემპიონატი  
დაიწყო...



მეთორმეტე პიროვნული ჩემპიონატის პირველი ტური. მსხეთა.  
თსუ - ლინამო 0:1. სტაფარი ჯახა გოგოლაძე მასპინძელთა მჯახარე  
პონსტანტინე გუზუნავას გადაახტა

# საქართველო შემსირდა

## გიორგი ვაშაიკია

XII ეროვნული ფერხულში ჩაებნენ ქუთაისის „ტორპედო“ (საქართველოს ჩემპიონი), თბილისის „ვიტ ჯორჯია“ (ვიცე-ჩემპიონი), თბილისის „დინამო“ (საქართველოს 10-გზის ჩემპიონი და ახლა ბრინჯაოს პრიზიორი), „ბათუმი“, ფოთის „კოლხეთი“, ბოლნისის „სიონი“, სამტრედიის „იბერია“, გორის „დილა“, თბილისის „მერანი“, თბილისის „ლოკომოტივი“ (საქართველოს თასის მფლობელი), თბილისის თსუ და რუსთავის „გორდა“.

თამაშები გაიმართება ორ წრედ (შინ და სტუმრად). გუნდები, რომლებიც I-VI ადგილებს დაიკავენ, მეორე ეტაპიდან განახევრებული ქულებით ორ წრედ გააგრძელებენ ბრძოლას საპრიზო ადგილებითვის.

გუნდები, რომლებიც პირველ ეტაპზე დაიკავენ VII-XII ადგილებს, მეორე ეტა-

პზე განახევრებული ქულებით ორ წრედ გააგრძელებენ ბრძოლას უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად. საბოლოოდ XI-XII ადგილებზე გასულებს გადაიყვანენ I ლიგაში, ხოლო X ადგილზე გასული გუნდი ნეიტრალურ მოედანზე შეხვდება I ლიგაში III ადგილზე გასულს. გამარჯვებული უმაღლესი ლიგის საგზურს მოიპოვებს.

აქამდე არასოდეს ყოფილა, საქართველოს ჩემპიონატის (საბჭოურ პერიოდშიც და დამოუკიდებლობის მერე მით უმეტეს), უმაღლეს ლიგაში 12 გუნდს ეთამაშოს. შარშანდელი, XI პირველობა ახალ სისტემაზე გადასვლის წინაეტაპად იქცა. უმაღლესი ჯგუფის 16 გუნდი ორ ზონად დაიყო, რომლის მიხედვითაც ზედანი „ოქროს რეველში“ მოხვდნენ, ქვედანი ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოდნენ. ზონებსაც პირობითად „ა“ და „ბ“ ეწოდა.

„ბ“ ზონაში ბოლო ოთხ ადგილზე გასული

პირველ ლიგაში მოუწიათ გადაბარება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აზრით ჩემპიონატის სისტემის ასეთი ცვლილება გუნდების კლასს მნიშვნელოვნად აამაღლებს.

XII ეროვნული თვალშისაცემი უცნაურობა კი ის გახლავთ, რომ სამტრედიის „იბერია“ მშობლიური ქალაქიდან ზამურში გადაახლეს, ვინაიდან სამტრედიის „ეროსი მანჯგალაძეზე“ და ღიდი ვიხაიშის საწვრთნელ ბაზაზე გუნდს არ უშვებენ, პოდა, „იბერიაძაც“ ლიხს გადალმა გადაინაცვლა და საშინაო შეხვედრებს ჯერჯერობით „გივი ჯომართიძეზე“ ატარებს, ცხოვრებით კი ქვიშხეთში ცხოვრობს. თუმცა ეს უფრო ალბათ, სამტრედიის ფეხბურთისადმი დამოკიდებულებით არის გამოწვეული.

...საქართველოს 2000-2001 წლების XII ჩემპიონატები გაიმართება სამ ლიგაში: უმაღლესში, პირველში და რეგიონალურში.

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	მ	ფ	ნ	ბ	ქ	კ
1 ტორპედო	■																	
2 ვიტ ჯორჯია		■																
3 დინამო			■															
4 ბათუმი				■														
5 კოლხეთი					■													
6 სიონი						■												
7 იბერია							■											
8 დილა								■										
9 მერანი									■									
10 ლოკომოტივი										■								
11 თსუ											■							
12 გორდა												■						



# ფეხბურთი კენჭებზე

## აბაზი მთაქვეყნადონალი



1980-81 წლების სეზონის თასების მფლობელთა თასი. მთაქვეყნადონალი  
17.IX.1980 სალონიკი სტ. „კაფტაპოგლინო“ 20 000 მაყურებელი

### ქასტორია (საბერძნეთი) 0:0 დინამო თბილისი

ბსტორია: ერმიდისი, ალექსიადისი, კალაიმიდისი, კობანოსი, სიამანიდისი (პერგამონისი 83), პარასისი, ვინციკოსი (გიოციდისი 63), ლოლოსი, სიანძისი, ცირინისი, პაპაგასილიუ  
დინამო: გაბელია, კოსტაგა, ჩივაძე, ხინაგაშვილი, ჭილაია, დარასელია, კაკილაშვილი, სულაქველიძე, ჩელებაძე (თაგაძე 77), ყიფიანი, შენგელია (ჩქარული 77)  
მსაჯი: ს. სირნა (რუმინეთი)

1.X.1980 თბილისი. სტ. „დინამო“. 80 000 მაყურებელი

### დინამო თბილისი 2:0 ქასტორია (საბერძნეთი)

პოლი: შენგელია (52), გუცაგვი (80)  
დინამო: გაბელია, მუჯირი, ჩივაძე, ხინაგაშვილი, თაგაძე, დარასელია, კაკილაშვილი, სულაქველიძე, გუცაგვი, ყიფიანი (ქორძე 82), შენგელია (ჩელებაძე 85)  
ბსტორია: ერმიდისი, ალექსიადისი, კალაიმიდისი, ვინციკოსი, გიოციდისი, პერგამონისი, პარასისი, ვინციკოსი, პაპაგასილიუ, ლოლოსი, ბაბოგინი, ცირინისი  
მსაჯი: დ. მაქსიმოვიჩი (იუგოსლავია)

#### კოზა ინასარიძე

მს აბაზი 20 წლის წინ, 17 სექტემბერს დაიწყო და 1981 წლის 13 მაისს, დიუსელდორფის „რაინშტადიონზე“ დამთავრდა — თბილისის „დინამომ“ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა ვერცხლის თასი მოიპოვა, თასი, რომელიც ახლა იტალიაში, რომის „ლაციოს“ მუზეუმშია და რომლის ასლიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას კაბინეტს ამჟღავნებს წარწერით — Cup Winner's Cup.

20 წლის წინ დაიწყო საბერძნეთის ქალაქ სალონიკის „კაფტაპოგლინოს“ სტადიონზე 20 ათასი მაყურებლის თვალწინ. ჩვენი „დინამო“ საბჭოთა კავშირის თასის ფინალისტი გახლდათ და 1980-81 წლების ევროპის ერთ-ერთ საკლუბო ტურნირს, თასების მფლობელთა თასის გათამაშების მონაწილე.

კენჭისყრა 1980 წლის 9 ივლისს შეეცარიის ქალაქ ციურინში ჩატარდა. საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის იმ დროისთვის კიდევ გაურკვეველი ჰქონდა, რომელ გუნდს ეთამაშა უეფას, რომელს კი თასების მფლობელთა თასზე ამიტომაც იყო იმ წლის 13 ივლისს გაზეთი „ფუტბოლ პოკი“ წერდა: „თასების თასი: „ქასტორია“ საბერძნეთი — „დინამო“ თბილისი ან „შახტიორი“ დონეცკი. უეფას თასი: „დინამო“ თბილისი ან „შახტიორი“ დონეცკი — „ანტრასტი“ გფრ“. ფედერაციამ მოგვიანებით, სწორედ საბჭოთა კავშირის თასის ფინალის შემდეგ გადაწყვიტა, რომ თასების თასზე ქართველები ითამაშებდნენ — მეტოქე ბერძნული „ქასტორია“, პირველი მატჩი სალონიკში,

დინამოელთა ბრინჯაოს გოლბას რამაზ ხინგელია და დიმიტრი სთავა



საბერძნეთის ანტიონისი

17 სექტემბერს. „ქასტორიას“, რომელიც თასების თასზე თბილისის „დინამოს“ შეხვდება, ევროპის საკლუბო ტურნირებში აქამდე არ უთამაშია, არც ქვეყნის ჩემპიონი ყოფილა და არც საბერძნეთის თასის მფლობელი. წლეულს მათ პირველად მოიგეს ქვეყნის თასი და ახლა ევროპულ არენაზე დებიუტი ექნებათ — კვითხულობით ისევ „ფუტბოლ პოკიში“, „ქასტორია“ — „დინამოს“ პირველ მატჩამდე კვირით ადრე. ახლა კი ხელთ გაქვთ ჟურნალ „სარბიელის“ 2000 წლის სექტემბრის ნომერი. ეს აბაზი 20 წლის წინ დაიწყო. 17 სექტემბერს, სალონიკში „ქასტორიასთან“ პირველ მატჩში თბილისის „დინამომ“ ფრედ — 0:0 ითამაშა, საბასუხოში, ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე რამაზ შენგელიასა და ვლადიმერ გუცაგვის გოლებითა და 80 ათასი ქომაგის თანდასწრებით 2:0 გაიმარჯვა და თასების თასის მერვედფინალში შეაბიჯა.

მაშ ასე, 2000 წლის სექტემბრიდან 2001 წლის მაისამდე ჟურნალ „სარბიელში“ — თბილისის „დინამო“ 1980-81 წლების თასების მფლობელთა თასის გამარჯვებული. სექტემბრიდან მაისამდე, მეტოქეთა დამარცხების შესაბამის თვეებში დიდი „დინამოს“ დიდი ფეხბურთელების მოგონებანი. დაეიწყო. „დინამო“ და „ქასტორია“. მატჩები სალონიკსა და თბილისში. რამაზ შენგელია და ოთარ გაბელია გვერდივერდ სხედან და 20 წლის წინანდელს იგონებენ.

**ოთარ შახაძე:** რა დამავიწყებს. სალონიკში გაფრენამდე, ორიოდ დღით ადრე ბაქოს „ნეფჩის“ ვუმასპინძლეთ. მე არ მითამაშია, ბიჭებმა 1:2 წააგეს, კარვად მახსოვს სტადიონზე ქომაგები რა დღეში იყვნენ. გასახდელიდან მილიციამ ჩუმად გაგვაპარა. მაშინდელ „დინამოს“ შინ „ნეფჩისთან“ არ უნდა წავეყო. აი, ასე ხასიათწამხდრები გავუმეზავრეთ „ქასტორიასთან“ სათამაშოდ.

**რამაზ ხინგელია:** იქ ჩასული კი მთლად მოვიძალეს სერვები, ლამის ჭკუიდან გადა-



საბავილეთის პარტივილანა



თბილისური მატჩის პროგრამა  
ახალი გზებით, სალონიკი ჯი  
არც გამოუვიდა

თბილისელთა ლიდერი დავით ყიფიანი (მარცხნიდან მეორე)  
ამ მატჩის გამოჩენილი იყო

გვიყვანეს სალონიკის აერობორტიდან მატჩის დაწყებამდე, სასტუმროში თუ ვარჯიშზე „კასტორიას“ ჭიმაგები მოდიოდნენ და ღრიალებდნენ, ტყუილად ჩამოხვედით, 3:0-ზე ნაკლები სხვაობით არ მოვიგებთო. ჩვენს ნერვებზე თამაშობდნენ. დარწმუნებული იყვნენ, რომ „კასტორია“ დაგვამარცხებდა. ოთარ, ისე რა გუნდი გვყავდა, არა?

— შენგელამ იმდროინდელ პარტიზორს გახედა. გაბელამ ვაილიმა, ვაჭალარაგებული თმები შეისწორა, ხელი ხელს დაჰკრა, სიგარეტს მოუკიდა.

მას შემდეგ 20 წელი გავიდა.  
**ოთარ ბაბუქია:** საშინელ მოედანზე მოგვიწია თამაშმა. მინდორი ალაგ-ალაგ ჩანდა, იქაურობა კენჭებით იყო სასვე. წაიქცეოდი და ხელ-ფეხს გადაიტყავებდი. რა დამაიწიწებს იმ მატჩის არბიტრს, რუმინელი, თუ არ მეშლება გვარად მირჩა გახლდათ. რატომ გამაფრთხილა, დღესაც ვერ ვხვდები. ძალიან ცუდად იმსჯა. მე კიდევ ეს მინდობდა? ისედაც განერვიულებული ვიყავი, „ნეფისთან“ რომ არ მითამაშია, ამანაც იმოქმედა. და მიუხედავად ამისა, ერთი-ორჯერ ისეთი დარტყმული ბურთი მოვიგერიე. ყველას გოლი რომ ეგონა.

**რამაზ შენგელია:** ბედი არ გვწყალობდა. მე და რეზო ჩელებაძეს იმდენი მომენტე გვქონდა, ერთი მაინც უნდა გავეკტანა. არადა, ბურთს დავარტყამდი, გოლი მეგონა, ხელემს აღვმართავდი და... ბურთი რეზოს გამოჰქონდა ცარიელი კარიდან. პირიქითაც იყო, ჩელეს თავურის შემდეგ ბურთი კარის ხაზზე მე მომხვდა და გარეთ გამოვარდა. ოთარის ნათქვამის არ იყოს, საშინელ მოედანზე ვითამაშეთ, ბურთს ვერ ვაგორებდით.

**ოთარ ბაბუქია:** „კასტორიას“ მარცხენა გარემარბი დამამასხვორდა. ძალიან სწრაფი და ტექნიკური ვინმე გახლდათ, თამაშის მანერით ვოვა გუცავეს წაგავდა, თუმცა მისი ვოვასთან შედარება ცოტა უხერხულიც არის. რამდენჯერმე სახიფათოდ დამირტყა და კინაღამ გამიტანა კიდევ.

შენგელია დაფიქრდა, წარბი შეკრა. რა დრო გასულა...

„მატჩამდე „კასტორიას“ ხელმძღვანელები ამბობდნენ, რომ ფეხბურთელებს მიზნად დაუსახეს სალონიკში თბილისელებისთვის 2:0 მოგვით. მატჩის შემდეგ კი „კასტორიას“ მწვრთნელმა ტაკის ძიძასმა თქვა, რომ ისეთ გამოცდილ და ძლიერ

გუნდთან, როგორც „დინამო“, 0:0-ის მერე მერვედღეინალოში გასვლის იმედი აღარ უნდა გვქონდესო...“

„ფუტბოლ პოკეი“. გარუნ აკოფოვი  
სალონიკიდან  
21.X.80

**რამაზ შენგელია:** სალონიკის სტადიონს გასახდელიც ისეთი ჰქონდა, შესვლა შეგეზარებოდა. სტუმრად 0:0 თითქოს ურიგო შედეგი არც იყო, მაგრამ მატჩის შემდეგ ნოდარ ახალკაცს უხასიათობა ეტყობოდა. გასახდელში სულ ორი-ოღ სიტყვა გვითხრა — **В Тбилиси надо выиграть** (თბილისში უნდა მოვიგოთ) — მორჩა და გათავდა. ავიბარგეთ და თბილისში წამოვედით.

**ოთარ ბაბუქია:** სალონიკში მცხოვრებმა რუსებმა დიდი პატივი გვცეს, ჩვენთვის ყურადღება არ მოუკლიათ. ერთხელ ექსკურსიაზეც წაგვიყვანეს, ზღვის პირას მდებარე კოშკი დაგვათვალიერებინეს. თამაშის დროსაც გვქიმაგობდნენ.

„თავის უბირატესობის დამტკიცება თბილისელებს მშობლიურ სტადიონზე მოუწევთ“ — წერია „ფუტბოლ პოკეის“ იმავე ნომერში.

**რამაზ შენგელია:** საპასუხო მატჩამდე სამი დღით ადრე ახალკაცმა დილმის ბაზაზე ისე გამოგვეკტა, ჩიტი ვერ შემოფრინებოდა. თავი კოლონიამში მეგონა. რაიმე განსაკუთრებული ვარჯიშები არ გვქონდა, ჩვეულებრივად ვემზადებოდი,

თუმც ერთხელ სავარჯიშოდ გამზადებულებს ახალკაცმა მოულოდნელად გვიოთხრა, დღეს არ ვივარჯიშებთ, თეორია გვექნებაო. შეგვიყვანა ოთახში და სამი საათი გვისხნიდა, როგორ უნდა გვეთამაშა. თავდასხმაში მე და გუცავევი ვიყავით, ინსაიდების ადგილას, გამთამაშებელი, რა თქმა უნდა, დღით ყოფიანი. მასხოვს, მატჩის წინ გასახდელში ახალკაცმა ჩემს და ვოვას გასაგონდ თქვა, იცოდეთ, დაცვა თავდასხმიდან იწყებაო.

**ოთარ ბაბუქია:** სალონიკიდან რომ დავბრუნდი, „კასტორიასთან“ საპასუხო მატჩამდე საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში სამჯერ ვითამაშეთ. შინ მოსკოვის „ლოკომოტივსა“ და „კარპატს“ მოვუგეთ, მერე კი სტუმრად სკა დავაპარცხეთ. ძალიან კარგ ფორმაში ვიყავით. ჩამოვიდა „კასტორია“ და არც მათ დაგაკლეთ. 2:0 მოვუგეთ. ერთი გოლი შენ არ ვაიტანე? — შენგელიას მიუბრუნდა — კო, შენ, ყიფოს პასით.

**რამაზ შენგელია:** კარგად მასხოვს. ყოფიანის პასი იყო, საჯარიმოში შუიდან შევედი და ნახევრად წაქცეულმა დავარტყი. ეს უკვე გამარჯვებას ნიშნავდა, მაგრამ არ გაგწვრებულვართ და მერე უკვე ჩემი პასით ვოვა გუცავემა გაიტანა. სტადიონზე ძალიან ბევრი ხალხი იყო. სავესე ტრიბუნები. მატჩის შემდეგ გასახდელში ცკის ინსტრუქტორები შემოვიდნენ, გამარჯვება მოგვოლოცეს, უხაროდათ, ჩვენც გახარებულნი ვიყავით. მაშინ „დინამო“ რომ მოვიგებდა,

იანგოსლავეილამ მსაჯამ მასხიომოვირამ „დინამოს“  
მერვედღეინალისაან გზა დაულოცა



საბავილეთის პარტივილანა

# თბილისში გადაწყდა

მხარეა ვ. ა. ლენინის სახ. „დინამო“ სტადიონი, 1 ოქტომბერი.

**„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (საბურთალო) — 2:0 (0:0).**

**„დინამო“:** გგელია, შუჭია, ხაჭაძე, ხინაშვილი, თავაძე, დიასკოვა, კაკაბაძე, სულაძე, ვლასი, ვასიაძე, კვიციანი (სტაძი), შუჭია (ჩაღმაძე).

**„სპარტაკი“:** ცხიველია, ალექსანდრე, კახიანი, ვოლოცოვი, ზეგაძე, მარტოხიძე, პარტახია, ვინცაძე, კახი, ჯანაშვილი, დიდიანი, ჯიჯიაძე, ცაიშვილი.

**მაჯიღე მკვლევარი (ლეონიდა).**

შეჯერება მრავალჯერ უკლებლივ დატვირთვით ვერ შეძლებდა, რაც ამაზე შედეგად გამოდის, რომ მთლიანად თასის მფლობელი „დინამო“ არც ერთ წინადაცვლას ვერ შეძლებს და ეს პრიზი რამდენიმე სეზონის განმავლობაში ვერ დატოვებს. უკვე უკლებლივ, სხვადასხვა მხარეზე მსჯელობენ, თუ რამდენად ახლოსაა „დინამო“ თასის მფლობელობისთვის. ამ თასის მფლობელი „დინამო“ არც ერთ წინადაცვლას ვერ შეძლებს და ეს პრიზი რამდენიმე სეზონის განმავლობაში ვერ დატოვებს. უკვე უკლებლივ, სხვადასხვა მხარეზე მსჯელობენ, თუ რამდენად ახლოსაა „დინამო“ თასის მფლობელობისთვის.

3. უნაჩაძე.

## უფასეს თასი

**„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (საბურთალო) — 2:0 (0:0).**

„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (საბურთალო) — 2:0 (0:0). „დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (საბურთალო) — 2:0 (0:0).

ამავე ტურის მატჩში „დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (საბურთალო) — 2:0 (0:0).



1980 წლის 2 ოქტომბრის „ლალი“ დინამოელთა ბაზარკვაპას ანაგაშვილი



დავით ყიფიანა ბაზარკვაპას ბაზრის მფლობელი

ხალხს საჭმელ-სასმელი ავიწყლებოდა.

**„დინამო“:** ნოდარ ახალკაცი ჩინებული ფსიქოლოგი გახლდათ. კარგად იცოდა ვისთვის როგორ, რა, როდის თქვა. „კასტორიასთან“ მატჩისთვისაც ისე განგვაწყო, ახლა რომ ვფიქრობ, შეუძლებელი იყო არ მოგვეგო. ბერძნები კიდევ კარგად გადაგვიჩინეს, დიდი ანგარიშითაც გადავარცხვბოდით.

„სტუმრები თითქმის ძალიან გუნდით თავს იტყვენ. უნდა ითქვას, რომ დინამოელებმა უამრავი შესაძლებლობიდან მხოლოდ ორი გამოიყენეს — ერთი სიტყვით, „დინამო“ ძიხანს მაღალია — შემდეგ ეტაპზე გავიდა წინ კი, თბილისელთა მეტოქე შესაძლოა უფრო გამოცდილი გუნდი იყოს მათ ალბათ, გაცილებით რთული მატჩები ულით“.

„ფუტბოლ პოეტი“. გარუნ აკოფოვი

„კასტორიასთან“ საბასუხი მატჩის შემდეგ 5.X.80

**რაბაზ შენგელია:** „კასტორიასთან“ დამარცხების შემდეგ ვერც კი წარმოვიდგენდით, თასების თასს თუ მოვიგებდით. არც ახალკაცი ამბობდა არაფერს. აბა, ევროგორ უნდა გვეფიქრა. ყველაფერი ნელ-

ნელა მოვიდა. მერვედღიანად „უოტერფორდი“ დავამარცხეთ, მერე „ვესტ ჰემი“ და... ამბიცია მოგვეძალა, ჩვენი ძალისა ვირწმუნეთ. „კასტორიას“ დამარცხება კი დიდი საქმე არ ყოფილა, ერთ-ერთი რიგითი მატჩი მოვიგეთ. ასე ვფიქრობდით მაშინ. თურმე რიგითი კი არა...

**„დინამო“:** მაშინ, „კასტორიას“ დამარცხების შემდეგ ჩემთვის რომ გვეკითხათ თასების თასს თუ მოვიგებთ, შეიძლება არაფერი მეპასუხა, ისე მეგონა, ფინალში გასვლის შანსიც კი არ გვეუნდა. რამაშა სწორად თქვა, „ვესტ ჰემის“ დამარცხების შემდეგ უკვე თასის მოგზავც შეიძლებოდა. ჩვენ ძალიან ძლიერი გუნდი გვყავდა. მაშინდელი „დინამოს“ სისუსტე რა იყო, არც კი ვიცო, თითქმის უნაკლოდ ვთამაშობდით.

გაბეღიათ ერთიც გააბოლა, შენგელიამ დაწვებზე თითი გადაისვა, წელში გაიმართა. წარმოვიდგინეთ, რა ბედნიერები იყვენენ მეკარე და თავდასხმელი მაშინ, 20 წლის... ეს ამბავი 20 წლის წინ დაიწყო. „დინამომ“ საბერძნეთის „კასტორიას“ დამარცხება, შემდეგ — ირლანდიის „უოტერფორდი“...

## ამთავრებულია ფინალის შედეგები

- დინამო (თბილისი, სსრკ) — კასტორია (საბურთალო) 2:0, 0:0
- პარტიზანი (ალბანეთი) — მალმი (შვედეთი) 0:0, 0:1
- აუსტრია (ზალცბურგი, ავსტრია) — ფორტუნა (დიუსელდორფი, გერ) 0:3, 0:5
- მონაკო (საფრანგეთი) — ვალენსია (ესპანეთი) 3:3, 0:2
- ვესტ ჰემი (ლონდონი, ინგლისი) — კასტელია (ესპანეთი) 5:1, 1:3
- პოლიტეხნიკა (ტიმოშოვარა, რუმინეთი) — სელტიკი (გლაზგო, შოტლანდია) 1:0, 1:2
- სარლ ტაინი (იენა, გერ) — რომა (რომი, იტალია) 4:0, 3:0
- ჰაუგარი (ნორვეგია) — სიონი (შვეიცარია) 2:0, 1:1
- სპარტა (ჩეხოსლოვაკია) — სპორა (ლუქსემბურგი) 6:0, 6:0
- უოტერფორდი (ირლანდია) — შიბერნიანი (მალტა) 4:0, 0:1
- ფრამი (რეიკიავიკი, ისლანდია) — ვეიდოგრე (დანია) 0:2, 0:1
- ვატერსხეი (ბელგია) — ომონია (ნიქოზია, კვიპროსი) 3:1, 3:1
- ბენფიკა (ლისაბონი, პორტუგალია) — დინამო (ზაგრები, იუგოსლავია) 2:0, 0:0
- ლეგია (ვარშავა, პოლონეთი) — სლავია (სოფია, ბულგარეთი) 1:0, 1:3
- ფეიენოორდი (როტერდამი, ჰოლანდია) — ილვესი (ტამპერე, ფინეთი) 4:2, 3:1
- კრუზეიდერსი (ბელფასტი, ჩრდ. ირლანდია) — ნიუპორი (უელსი) 0:0, 0:4

## ამარჯობის ფინალის მატჩები

- უოტერფორდი (ირლანდია) — დინამო (თბილისი, სსრკ)
- ვატერსხეი (ბელგია) — ფორტუნა (დიუსელდორფი, გერ)
- კარლ ცაისი (იენა, გერ) — ვალენსია (ესპანეთი)
- ვესტ ჰემი (ლონდონი, ინგლისი) — პოლიტეხნიკა (ტიმოშოვარა, რუმინეთი)
- შიდოგრე (დანია) — ფეიენოორდი (როტერდამი, ჰოლანდია)
- მალმი (შვედეთი) — ბენფიკა (ლისაბონი, პორტუგალია)
- სპარტა (პრაღა, ჩეხოსლოვაკია) — სლავია (სოფია, ბულგარეთი)
- ჰაუგარი (ნორვეგია) — ნიუპორი (უელსი)

# წერილი მეოთხე როგორ დავლაგოდა სურათი


## ყველა, ყველამ, ყველას... ტოტალური ფეხბურთი

### ლავა ჯაფარიძე

ჩემი რუბრიკის წინა წერილში საუბარი WM განლაგებასა და ბრაზილიურ სისტემას შეეხო, ხოლო ამ სისტემის ზეობა საზოგადოებრივად 1958 წელს შედეგით ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე იხილა. ოთხი წლის შემდეგ, ჩილეში „ნიკეს თასი“ კვლავ ბრაზილიამ მოიპოვა, ოღონდ ამჯერად ჩემპიონი გუნდის ფეხბურთელები მოედანზე ახალი, 1-4-3-3 სისტემით მოქმედებდნენ.

რას ნიშნავდა ეს? ეს იმას ნიშნავდა, რომ მოედნის შუაში განლაგებულ სამ მოთამაშეს დაცვიდან შეტევასა და შეტევიდან დაცვაში გადასანაცვლებლად საგანგებო დავალება ეძლეოდა. შესაბამისად, ნახევარმცველთა ფიზიკური მომზადების, მობილურობისა და ტაქტიკური განათლების დონემ ახალ სიმაღლეებს მიაღწია.

1966 წელს, ინგლისში, გუნდების უმრავლესობამ სწორედ ამ, 1-4-3-3 სისტემას მიმართა, ოღონდ მათ შორის უპირატესობა ფიზიკურად უკეთ გამოწრთობილთ ერგოთ. შეტოქეზე მეტი



რინუს მიხელსი


მოძრაობა საკუთარ თუ მოედნის გაღაღმა საჯარიმოსთან რიცხობრივი უპირატესობის მოპოვებას ნიშნავდა, რაც, ბუნებრივად, შედეგიანობაზე აისახა. იმავე ჩემპიონატზე ფართოდ მოიქიდა ფეხი თავისუფალი მცველის, ლიბეროს ფუნქციამ. ამ ამპლუის მოთამაშე ჰყავდათ ბულგარელებს, ფრანგებს,

გერმანელებს (გფრ), უნგრელებს, შვეიცარიელებს, იტალიელებსა და საბჭოთა კავშირს.

ეს გახლდათ შემტევი ფეხბურთის ეპოქა, რაც კიდევ უფრო სრულყოფილად და დახვეწილად 1970 წელს, მექსიკაში გამოჩნდა. მექსიკის საგანგებო კლიმატმა, სიცხემ და მაღალმთიანი რაიონებისთვის დამახასიათებელმა გაიშვიათებულმა ჰაერმა ჩემპიონატის მონაწილეთაგან, მეტადრე კი ევროპელთაგან განსაკუთრებული დამოკიდებულება მოითხოვა. კერძოდ, ვინაიდან აღნიშნულ პირობებში ადამიანს გადაადგილება მეტად უჭირს, მნიშვნელოვნად შემცირდა ინდივიდუალურ გარღვევათა რაოდენობა და ყურადღება ძირითადად კოლექტიურ თამაშს დაეთმო. დაცვიდან შეტევაზე გადასვლისას ძირითადად პოზიციური თამაშის მეთოდებს იყენებდნენ, ცდილობდნენ მოწინააღმდეგისთვის მოულოდნელად შეეცვალათ მდგომარეობა.

და ყველა გუნდი 1-4-3-3 განლაგებას მისდევდა. თუმცა ექსპერიმენტებიც იყო,


1962 წლის ბრაზილიის ნაერები



1970 წლის გერმანიის ნაერები



1974 წლის გერმანიის ნაერები





1958-1970 წლებში სათამაშო სკამები იცვლებოდა, ხოლო პალაქს კვლავ რჩებოდა

უპირატესად თავდამსხმელთა განლაგებაში. ყველაზე ნაირგვარი ცენტრალური თავდამსხმელის თამაში გახლდათ. გარდა ამისა, მოლიანად სისტემაში მნიშვნელოვნად ჩამოყალიბებული და დინამიკური სახით წარსდგა მაყურებლის წინაშე. წინა წლებისგან განსხვავებით კიდევ უფრო აშკარა იყო მოთამაშეთა ფიზიკური,

ტექნიკური და ტაქტიკური დონის ზრდა. გამოიკვეთა უნივერსალიზმი, ხოლო მოწინააღმდეგის ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით გუნდები მოქნილად გადადიოდნენ ძირითადი განლაგების მონათესავე ვარიანტებზე. იკვეთებოდა 1-4-4-2 სისტემის კონტურები.

ტაქტიკური აზროვნებისა და ზოგადად ფეხბურთის განვითარებაში ისტორიული როლი 1974 წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამართულმა მსოფლიოს ჩემპიონატმა ითამაშა. ძალიან ბევრი გუნდის მოქმედება ერთიორად გააზრებული გახლდათ. აშკარა იყო ტაქტიკურ ანალიზს დედამიწის საფეხბურთო აზროვნებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი მიუძღვებოდა.

შესაბამისად, 1974 წლის პირველთა, ისტორიაში, ალბათ, ყველაზე მრავალმხრივი გამოდგა. იმ პერიოდის საფეხბურთო მიმოხილვებში ნაირნაირი ვარიანტებისა და მატჩების გარჩევებს ვერ აუდიოდნენ. მათთვის საგანგებოდ უშვებდნენ გრაფებით მოხატულ ფურცლებს რათა დრო არ დაეკარგათ და ათასგვარი სტატისტიკური მონაცემი ჩაეწერათ.

მიმოხილველთა უმეტესობას კი აი, რა ენიშნა: ადრე, ფეხბურთის განვითარებას ძირითადად თავდასხმისა და დაცვის ჭიდილი განაპირობებდა. თუ ვინმე დაცვის ახლებურ ვარიანტს მოიგონებდა, უმაღლეს ყველაზე მუშაობა შეტევის სისტემათა დასახვეწად და პირიქით. 1974 წელს კი სამივე რგოლს განსაკუთრებული როლი ებოძა და ამა თუ იმ გუნდის უპირატესობაც სწორედ ამ გართულებულმა და ერთიორად გაღრმავებულმა ფილოსოფიამ განაპირობა. თუ ადრე „მთელი ძალებით თამაშზე“ ლაპარაკობდნენ, ახლა ფეხი ახალმა ტერმინმა, „ტოტალურმა ფეხბურთმა“ მოიკიდა. აი, მისი ძირითადი დამახასიათებელი თვისებები:

1. მოედნის ყოველ მონაკვეთზე ბურთისთვის მუდმივი და თანმიმდევრული ბრძოლა;

2. თითოეული მოთამაშისგან „შავი სამუშაო“ მაქსიმალური მოთხოვნა;
3. თითოეული მოთამაშე მოედნის ნებისმიერ წერტილში ასრულებს სათამაშო დავალებას;
4. საფეხბურთო ინტელექტის მაღალი დონე. შემოქმედებითობა, უნივერსალიზმი, პრაქტიკულობა;
5. დევიზი: ყველა დაცვაში, ყველა შეტევაში.

განლაგებათა თვალსაზრისით ძირითადად 1-4-3-3 და 1-4-4-2 სისტემები იყო გავრცელებული, ოღონდ შეინიშნებოდა მათი უამრავი ვარიანტი. მაგალითად ორი სტოპერი, ლიბერო და ასე შემდეგ. და, რაც მთავარია, ყოველი გუნდი საწყის სტეპს ავითარებდა იმის მიხედვით, თუ რა თვისებების მოთამაშეები ჰყავდა და ამიტომაც მათ შორის განსხვავება ერთობ თვალსაჩინო გახლდათ.

ბოლოს კი, დავასახელოთ „ტოტალური ფეხბურთის“ შემომტანად აღიარებული ქვეყანა და მწვრთნელი: ჰოლანდია და რინუს მიხელის, რომლის დეაწლი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში საგანგებო ასობითაა შეტანილი.

**ჰოლანდიელთა რეკორდული ბენდის ლიდერი იოჰან კრუიფი**



1974 წლის ჰოლანდიის ნაჩრები: მარცხნიდან: იოჰან ნეასკანსი, რუულ ჯროლი, ვიხ ვან ჰანგევი, ვიხ იანსანი, ვიხ სარბიარი, ჯონი რაჰი, ვიხ რიხბარგენი, რობი რანსენბრიი, არი ჰანი, იან იონგბლადი, იოჰან კრუიფი





**ილია გაგუნიანი**

# ელდა

**მოგზორო** „ოქროს გოლის“ წესი? მოდი, ვიმსჯელოთ და მერე, თუ გნებავთ, ჩვენ ჩვენს აზრზე დავრჩეთ.

ისიც მოსალოდნელია, რომ ბევრს გარკვეული შეხედულება არ ჰქონდეს — ახალი წესი რაღაცით მოსწონდეს, ხოლო რაღაცით არა.

დავიწყოთ კი იმით, რომ მოგვწონს თუ არა, იგი არსებობს და 1996 წლის მერე მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე გამარჯვებული მის მიხედვით ოთხჯერ გამოვიჩინა. სხვათა შორის, ამ წერილის იღბლიან ავტორს ხსენებული ოთხი შემთხვევიდან ორი ცოცხლად, ტრიუნიდან აქვს ნანახი.

მათთვის, ვინც არ იცის რაზეა ლაპარაკი: თუ საფეხბურთო მატჩი აუცილებლად ერთ-ერთი გუნდის გამარჯვებით უნდა დამთავრდეს (ანუ ფრე არ შეიძლება), არადა, 90 წუთის განმავლობაში ეს არ მოხერხდა, ინიშნება დამატებითი დრო — 30 წუთი. ამ 30 წუთის მანძილზე როგორც კი ერთი მეტოქე მეორეს გოლს გაუტანს, თამაში წყდება და გამტანი „ოქროს გოლის“ წესით გამარჯვებულად ცხადდება.

ადრე ასე არ იყო. შეხვედრა პირველივე გოლის გამო არ წყდებოდა, მოწინააღმდეგეები დამატებით 30 წუთს ბოლომდე თამაშობდნენ და შესაბამისად, ჩამორჩენილს არა მხოლოდ გათანაბრების, მოგების შანსიც კი რჩებოდა.

აი, ასე, ახლა კი იქიდან განვარდით, სადაც გაეჩერებით. იმას მოგახსენებდით, რომ წერილის ავტორს ოთხი შემთხვევიდან ორი უშუალოდ აქვს ნანახი. ეს უკვე გასულ ზაფხულს, ევრო 2000-ზე მოხდა. ორივეჯერ საფრანგეთის ნაკრებმა გამარჯვა და ორივეჯერ 2:1 პირველად, ნახევარფინალში პორტუგალიასთან, მეორედ ფინალში, იტალიასთან.

რაც შეეხება დარჩენილ ორ შემთხვევას: ვიცი, ევრაეის გაგაკვირვებ, როცა ვიტყვი, რომ მათგან ერთი კვლავ და კვლავ საფრანგეთმა მოიგო — 1998 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში, პარაგვაისთან, 1:0, ხოლო ჩვენი ჩამოთვლით მეოთხე, ისტორიულად კი პირველი „ოქროს გოლი“ 1996 წელს, ევროპის პირველობის ფინალში გერმანიამ ჩეხეთს გაუტანა, 2:1 სძლია და ჩემპიონი გახდა.

მაშ ასე, ოთხიდან სამჯერ საფრანგეთმა მოიგო.

ოთხიდან სამჯერ 2:1 დამთავრდა. ოთხიდან ორი ევროპის ჩემპიონატის ფინალი გახლდათ.

მაგრამ ეს დამთხვევები არაფერზე მეტყველებს, ხოლო რომ მეტყველებს იმ სტატისტიკას მალე გააცნობთ. მთავარია, ძი-



ევრო 2000. საფრანგეთი — კოტბავალია 2:1 დ. (1:1). ზინედინ ზიდანის (№10) ოროს კენალბამ ფრანგები ევროპის ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა

რითად თქმას არ გადავუხვიოთ. ძირითადი თემა კი ასეთია: კარგია „ოქროს გოლის“ წესი?

კაცმა რომ თქვას, ამ საკითხზე დავის დროს ჩვენს პოზიციას, ალბათ, უფრო ჩვენივე ხასიათი და გემოვნება განაპირობებს. იმის თქმა მინდა, რომ აქ ლოგიკა ძნელი საპოვნელია. თუ, მაგალითად, იმ კატეგორიის ხალხს განეკუთვნებით, რომლებიც ასწლოვანი საფეხბურთო წესებისა და ტრადიციების ოდნავ შეცვლასაც კი მის ხელყოფად აღიქვამს, არც „ოქროს გოლის“ წესი მოგვეწონება.

ემოციურად კი რა მოგახსენოთ. მართალია, ადრე, როდესაც დამატებითი დრო უეჭველად 30 წუთისგან შედგებოდა, ჩატარდა რამდენიმე ზღაპრული თამაში, რომელშიც დაწინაურებულ გუნდს შეურიგებელმა მოწინააღმდეგემ ის დაწინაურება ძვირად დაუსვა. მაგრამ, დამეთანხმებით, „ოქროს გოლს“ თავისი, განუმეორებელი ეფექტი აქვს — ელდა.

თუ გახსოვთ, ახალ წესს თავიდან „სიკვდილის გოლს“ უწოდებდნენ და ფიფას ამ სახელის „ოქროს გოლად“ შეცვლა დიდ ძალისხმევად დაუჯდა — როდესაც შევიძლია ახსენო „ოქრო“, რატომ უნდა იმახო „სიკვდილი“?

თუმცა დავუბრუნდეთ მსჯელობას. დიას, ახალმა წესმა ისეთი სანახაობა, როგორც მაყურებელმა 1970 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში, 1982 წელს იმავე შეჯიბრების

იმავე ეტაპზე და 1984-ში ევროპის პირველობის ნახევარფინალში იხილა, საშუალოდ გადააბარა ისტორიას.

1970 წელს, მეხიკოში ერთმანეთის პირისპირ იტალია და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა წარსდგნენ. ძირითადი დრო 1:1 დამთავრდა, დამატებითში კი ნამდვილი კალეიდოსკოპი დატრიალდა: თავიდან გერმანელები დაწინაურდნენ, მაგრამ ოთხ წუთში იტალიელებმა გაქვითეს (ბრუნინი) და კიდევ ოთხი წუთის შემდეგ ლუიჯი რივას გოლით უკვე 3:2-ს იგებდნენ. გამოხდა ხუთი წუთი და გერმანიამ გაათანა-

1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი. საფრანგეთი — გერ 3:3 დ. (1:1, 4:5). ანდარიში გაიხსნა: ფრანგებმა მანუალ ამორიომ, მარიუს ტრანკორმა და ჟან ლუა აბორიმა პირა ლიტბარსაის წინააღმდეგ პირაფარი გაანყვანა





1996 წლის ფინალი. ჩხეთი – ბერბანია 1:2 დ. (1:1). ბერბანელი ოლივიერ ბირჰოფი ისტორიაში პირველი ოქროს გოლის გაბანა ხაიმოვს

ბრა (გოლი დიდმა გერდ მიულერმა გაიტანა), თუმცა ორ წუთში ჯანი რივერამ ბელის სასწორი ერთხელაც და, როგორც გაირკვა, საბოლოოდ „სკუადრა აბურას“ მხარეს გადახარა.

ამრიგად, გაიმარჯვა მან, ვინც დამატებითში თავიდან გაუშვა. არადა, „ოქროს გოლის“ წესი რომ ყოფილიყო, მსოფლიო ფეხბურთის ისტორია ვერც იტალიელთა გამარჯობის ამბავს შემოგვინახავდა და არც დრამატული 30 წუთის მოწმე შეიქნებოდა.

ნამდვილად არასდროს დამავეწყვდება 1982 წელს სევილიაში გამართული, იმავე გფრ-სა და საფრანგეთის ნაკრებთა შეხვედრა. ტელეეკრანთან მონუსხულივით მიმჯდარი, მთელი პლანეტის ქომაგებთან ერთად შევიქენი მოწმე იმისა, თუ როგორ შეძლო გერმანიამ (ძირითადი დროის ანგარიშში 1:1 გახლდათ) დამატებითში 1:3-ის 3:3-ად ქცევა, ხოლო შემდეგ პენალტებით მოგება.

და კვლავ: „ოქროს გოლი“ რომ ყოფილიყო, არ იარსებებდა ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა საფეხბურთო შთაბეჭდილება.

ანდა 1984 წელი. ევროპის პირველობა. მარსელის „ველოდრომზე“ ფრანგები და პორტუგალიელები 90 წუთში თითო გოლს ცვლიან, დამატებითში კი... პორტუგალიას უორდაუ აწინაურებს, მაგრამ ლომერგის

და პლატინის გოლებით გამარჯვება ფრანგებს რჩებათ.

აქაც „ოქროს გოლი“ რომ ყოფილიყო... „ოქროს გოლის“ ეპოქაში კი ასეთი რამ გამორიცხვულია. სამაგიეროდ, ელდა მარად თქვენს განკარგულებაშია.

და კვლავ, ახლა მოგახსენებთ იმას, რაც

ბოლოსთვის საგანგებოდ შემოვინახეთ. ხომ გახსოვთ, ისეთ სტატისტიკას დაგპირდით, რადაცაზე რომ მეტყველებს. აი, ისიც:

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების 70-წლიან ისტორიაში დამატებითი დრო 60-ჯერ დაინიშნა.

ამ სამოცი შემთხვევიდან ოთხში, როგორც ვიცით, გამარჯვებულის ვინაობა „ოქროს გოლმა“ გაარკვია, ოცდაშვიდეჯერ (27) დამატებითი 30 წუთი 0:0 დასრულდა, ოცდასამჯერ (23) გაიმარჯვა იმან, ვინც პირველი გოლი გაიტანა, დამატებითში ანგარიშის გაქვითვის სულ ოთხი (4) შემთხვევა იყო, ხოლო თავიდან ჩამორჩენილმა ორად ორჯერ მოიგო და ეს ორი შემთხვევა ზემოთ გავისხენეთ.

ეს სტატისტიკა მეტყველებს-მეთქი. რა გამოვიდა? გამოვიდა ის, რომ „ოქროს გოლით“ თუ მის გარეშე, თუ გუნდს დამატებით დროში პირველი გოლი გააქვს, ესე იგი იგებს ან არა და, დამატებითი დრო 0:0 მთავრდება. ხოლო გამარჯობა 70 წელიწადში თითებზე ჩამოსათვლელი ყოფილა.

სურათის კიდევ უფრო ნათლად დახატვისთვის იმ 23 შეხვედრის ოქმშიც ჩავიხედოთ, რომელიც პირველი გოლის გამტანმა მოიგო. ხომ შეიძლება შემდეგ მეტოქემ გაუთანაბრა (ერთხელ, ორჯერ, სამჯერ...) ან უპირატესობა გამოსტაცა, დაწინაურდა და მერე მანაც წაავო.

არა, ასეთი შემთხვევა არ ყოფილა. თუკი ჩამორჩენილ მეტოქეს გოლი გაჰქონდა, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც უკვე ერთი კი არა, ორი ბურთით გახლდათ ჩამორჩენილი.

მაშ, 70 წელიწადის განმავლობაში, დამატებით დროში ანგარიშის გათანაბრების ოთხი, ხოლო გათანაბრებისა და მერე მოგების სულ ორი შემთხვევა ყოფილა.

ეტყობა, ფსიქოლოგიური ამბავია... თუმცა, აკი თავიდანვე შევთანხმდით, რომ ჩვენ ჩვენს აზრზე დავრჩებოდით. მით უფრო, რომ მე ჩემი აზრი არ მითქვამს.

1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი. საფრანგეთი – პარაგვაი 1:0 დ. (0:0). ლორან ბლანის ოქროს გოლმა მომავალი ჩემპიონი მართხანდღვინელში გაიყვანა





# სსპადასსპა





ოქროს გოგონები: ბრინე ჰაბასტაძი, ბაბინა ჯობოვა და გიულ ღივარსი

## THE GOLDEN LEAGUE ოქროს გოგონები

ბერლინში დასრულდა მძლეოსანთა „ოქროს ლიგის“ შედეგება და 50 კილო ოქროსაც პატრონი გამოუჩნდა, ოღონდ ერთაშად ხუთი. ამერიკელმა გიულ ღივარსმა თავისი წილი ბოლო ეტაპამდე მიითვალა, ხოლო ბერლინში სხვა ოთხი კანდიდატიდან ფეხის ნამეტრევა არც ერთმა ისურვა. მორის გრინმა, 100 მეტრი 9,86 წამში გაირბინა და ესეც თქვენ არა მარტო ოქრო, არამედ სეზონის რეკორდიც! შიშამ ელ-გურუჯმა 1500 მეტრი ტრადიციულად კაცურად ირბინა და დისტანცია პირველმა გაასრულა. აღარც ტრინე ჰაიტესტადმა გაიკარა ვინმე; მისი გატყორცნილი შუბი 68 მეტრისა და 32 სანტიმეტრის იქით დაერჭო. და ტატიანა კოტოვა, 24 წლის რუსი გოგო, ვისაც 10 ოქრო ერთმა სანტიმეტრმა არგუნა. სწორედ ამდენი იყო სხვაობა მასსა და დიდებულ ჰაიკე დრექსლერს შორის.

## ბინძურები

ინგლისში გამართული ორი ბრძოლის შემდეგ მშობელ ამერიკას უბრუნდება მაიკ ტაისონი. 20 ოქტომბერს რკინის მაიკი პოლონელ ანჯეი გოლოტას შეერკინება. ბრძოლა მიჩიგანის შტატში, „ობარნ ჰილზში“ გაიმართება და მედია აქედანვე აღნიშნავს, წინა მსოფლიო კრივის ყველაზე უხეში და ბინძური ორთაბრძოლა გვაქვსო. ტაისონი ვინცაა, ცნობილია, გოლოტას კი კარიერის ოთხი წაგებიდან ორი, ანგადამდგარ რიდიკ ბოუს წელსქვევით გასილაქებისთვის აქვს მისჯილი. მისი ქცევანი რინგზე დიდად არ განსხვავდება ტაისონის ქცევათაგან, ეგ არის ოღონდ, რომ ტაისონი უკეთესი მოკრივეა, ვიდრე გოლოტა. ბინძურად მოგებულ ბრძოლათაგან, პოლონელს შეახსენებენ ხუთი წლის წინათ სამსონ პოპუას და დენიელ ნიკოლსონის დამარცხებას.



# სსპადასსპა



## მეუღლეები

ჰერ იყო და ხალხმა გაიკვირვა, მილანის „ინტერში“ უცნობ რუმინელს რომ მოჰკრა თვალი. შემდეგ ამ რუმინელმა თავი რალაც-რალაცებით გამოიჩინა, გარემოს ალღო აუღო, ვარსკვლავებთან ჭიდილს გაუშინაურდა და, თუმცა დედა ეს რა ვნახეო, ვერავის ათქმევინა, არც შერცხვენილა.

სეზონის შემდეგ ადრიან მუტუ „ინტერში“ „ვერონას“ ათხოვა, ეროვნულმა ნაკრებმა კი ევროპის ჩემპიონატზე გააქანა.

ერთი სიტყვით, რუმინელი ნახევარმცველისთვის 2000 წელი მოვლენებით დატვირთული გამოდგა, თუმცა უმთავრესზე ჯერ არაფერი გვითქვამს. ის ფოტოზე ჩანს — 27 აგვისტოს ადრიანმა სატროსო, ალექსანდრას დაუკავშირა ბედი. ბუქარესტში გამართულ ქორნილს მრავალმა ბურთით ცნობილმა ადამიანმა დასდო პატივი, რომელთა შორის გეორგ ჰაჯიც გახლდათ და მას უკანა პლანზე ხედავთ.




## ორგაბი გასწრება, ორგაბი პოლიტიკა




უზნარაღი გასწრებელი ეს ქალბატონი სამეფო რბოლების ორგანიზაციის, მკვა პაკინის მუდმივი ურთიერთობის მძღველია. ალტაცების მძღვენი კი ბელგიაში, სპა-ფრანკონში ურთიერთობის ტრასაზე მკვას „მაკლარენის“ მონივი ბრწყინვალე გამარჯვებაა. ერთას რჩეულმა ეს-ესაა, ფანტასტიკური მძღვერით კრიტიკულ ხიტუციაში მესამე პოზიციიდან უიშვიათესი ორგაბი გასწრებით მთავარი მტერი მისაველ შუმახერი სამოტიტოვა (მეორე „მხვერბლზე“ აუტსაიდერ რაკარდო ზინტაზე ლაბარაიც არ ღირს).

მართალია, სეზონის დასაწყისში უსამველოდ დაწინაურებული შუმის ბილიოდროინდელი წარუმატებლობის შედეგად უმინატესობას პაკინევი დაეუფლა და ხაღდევიხოდ უკვე ისაა ხატურნირო ცხილში წინ, მაგრამ არც იმდენით, რომ ფინისამდე დარჩეხილ რბოლებს ახრი დაჰკარგვოდ.

თუმცა, ქალბატონი ერთი, რომელიც ნოემბერში დედა გახდება, დარწმუნებულია, რომ მის პირმშოს საგზის ჩემპიონი მამა ეყოლება.





# პირველი სამუი მეექვსე სდიდან

## გაიოჯ თაღაქაქაქა

მსოფლიოს საუკეთესო გუნდი უდავოდ ავსტრალიაა. თავად განსაჯეთ, „ვოლაბებს“ 1999 წლის შემოდგომიდან დღემდე ყველა ტიტული მოიხვეჭეს — მსოფლიოს, ბლეის-ლოუს თასები, მანდელას სინი და სამი ერის პირველობის ჩემპიონებიც გახდნენ. თანაც მსოფლიოს საუკეთესო სარაგბო ქვეყნები საფრანგეთი, სამხრეთ აფრიკა და ახალი ზელანდია დაამარცხეს. ერთი ინგლისის ბეჭებზე გაკვრალა დარჩათ და, ალბათ, ამასაც მოახერხებენ ამ შემოდგომის ევროპულ ტურნეზე.

ზემოჩამოთვლილი ტიტულებიდან ოზები ყველაზე მეტად სამი ერის ჩემპიონობამ გაახარა, რადგან ამ ტურნირის წინა ხუთ გათამაშებაში ერთხელაც ვერ ემარჯვათ, მსოფლიოს თასი კი 1991 წელსაც მოუპოვებით, დანარჩენი ორი პრიზი კი შედარებით ნაკლებ პრესტიჟულია.

სამი ერის წლებანდელი პირველობა მეტად დამაბული და ფრიად საინტერესო გამოდგა. თითქმის ყველა თამაში ძალიან ლამაზი საყურებელი გახლდათ. გუნდებმა ლელოებიც ბლომად გაიტანეს და დაცვის სიდიერეც ხშირად დაგვანახეს, ინდივიდუალური ოსტატობითაც ადგვავართოვანეს და გამართული გუნდური თამაშითაც. ერთი სიტყვით, რაგბი მთელი თავისი



REUTERS

ავსტრალიელთა ჯაბიტანმა ჯონ ილზმა (ბურთით) ვოლაბთა ჩემპიონობაში ლოის ნილი დაიღო

სილამაზითა და დიდებულებით წარმოაჩინეს.

ტურნირის გახსნის მატჩი სპეციალისტთა უმრავლესობის აზრით, რაგბის ისტორიაში სა-

უკეთესო იყო. მას მაყურებელთა რეკორდული რაოდენობაც დაესწრო. სიდნეის სტადიონზე 109874 კაცმა ადევნა თვალი ავსტრალიისა და ახალი ზელან-

ავსტრალია-ახალი ზელანდიის მართლაც სანაქაბო მატჩი ჯონ ილზს (ბურთით) ლალომ დაამოკვანა



REUTERS

დიის დაპირისპირებას. დასაწყისში „ოლ ბლექსი“ დაწინაურდა და თითქმის დაიბეგა კიდევ გამარჯვება, მაგრამ მასპინძლები არ გატყდნენ და თანდათანობით უპირატესობასაც დაუფლნენ, მეორე ტაიმში კი წინაც გავიდნენ. თუმცა შეხვედრის მიწურულს ჯონ ილზს ლელომ გამარჯვება მინც სტუმრებს არგუნა — 39:35.

ერთ კვირაში შეჯიბრებაში სამხრეთ აფრიკაც ჩაერთო. 29 ივლისს „ქურციკებს“ „ვოლაბებმა“ უმასპინძლეს და ძალიან იოლად ავობეს — 26:6. აფრიკელებმა მომდევნო მატჩიც დათმეს, ამჯერად ახალ ზელანდიაში (25:12), რაც ზედიზედ მეოთხე წაგება აღმოჩნდა მათთვის (მანამდე ინგლისთან და იმავე ავსტრალიასთან დამარცხდნენ) და მათი მთავარი მწვერთვითი ნიკ მალეტი კინადამ უშუშეგარიც დარჩა. „ქურციკთა“ მწვემს შინ ახალი ზელანდიის ბრწყინვალედ ჯონამ უშველა (46:40), თანაც კუნძულებს აქამდე ამდენი ქულა არც ერთ საერთაშორისო მატჩში არ დაენებებინათ მოწინააღმდეგისთვის.

მანამდე კი ავსტრალია ეწვია ახალ ზელანდიას და ტურნირის ბედიც, ფაქტობრივად, მამინ გადაწყდა. 5 აგვისტოს, ველინგტონში დიდი ჯახი იყო, რომლის ბოლო წამებამდე „ოლ ბლექსი“ იგებდა, მაგრამ მსაჯმა თამაშის ძირითად დროზე წამატებული წუთების გასვლისას ოზებს საჯარიმო მიაკუთვნა. ავსტრალიელთა დამრტყმელი სტირლინგ მორტლოკი, რომელიც ტურნირის ყველაზე შედეგაანი მორაგბე გახდა 71 ქულით, მოედნადან გასული იყო და გადამწყვეტი დარტყმის შესრულება გუნდის კაპიტანმა, მორკინალმა ჯონ ილზმა თთავა. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს ფეხი არ აკანკალდება და თავისიანებს მეტად საჭირო გამარჯვება მოუტანა — 24:23.


თითქმის მსგავსი სიტუაცია შეიქმნა ტურნირის ბოლო მატჩში ლურბანში, სადაც „ქურციკები“ „ვოლაბებს“ მასპინძლობდნენ. მატჩის ძირითადი დროის დამთავრებისას წინ სტუმრები იყვნენ 16:15, თუმცა მსაჯმა 8 წუთი დაამატა, რომლის განმავლობაშიც ჯერ ბრაამ ფან სტრაატემმა დააწინაურა საჯარიმითი მასპინძლები და სამი ერის ჩემპიონის ტიტული ახალი ზელანდიისთვის გაამზადა, მაგრამ მერე ახალ ზელანდიელმავე მსაჯმა, ჰონისმა საჯარიმითი „ქურციკებიც“ დასაჯა და მორტლოკმა ზედ აუტის ხაზიდან მატჩში და მთლიანად ტურნირში გამარჯვება ავსტრალიას მოუტანა.



შამაბაბა ნინო სალუქვაძის ნაღვალს სიღნაური მალაღობა



რუსუდან ხოჭავაძე



ხეთუნა ლორიგი  
(პარიკივილი)



## საქართველოს ოლიმპიური გუნდის ჯგუფური პროგრამა

### ავთანდილ ყვირილი აგტორის ფოტოგრაფია

საქართველოს ოლიმპიურ გუნდში 36 სპორტსმენია — ზუსტად იმდენი, რამდენიც ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე გვყავდა. ისინი სპორტის 13 სახეობის წარმომადგენლები არიან, რაც ერთით ნაკლებია ატლანტასთან შედარებით.

ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის გამოცდილება აქვს 11 სპორტსმენს — 3-ით მეტს, ვიდრე ატლანტაში. მათგან ნინო სალუქვაძე მეოთხედ გამოვა ოლიმპიურ თამაშებში.

ნინო სალუქვაძე გუნდში ყველაზე ტიტულოვანია. იგი არის: სულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი სპორტული პისტოლეტით სროლაში (ოლიმპიური რეკორდები წინასწარ და ფინალურ ასპარეზობაში) და მეორე პრიზიორი პნევმატური პისტოლეტით ასპარეზობაში, ექვს-ექვსგზის მსოფლიოს ჩემპიონი და თასის მფლობელი, თოხმეტგზის ევროპის ჩემპიონი, 25-ზე მეტი მსოფლიოს რეკორდის ავტორი...

მსოფლიოსა და ევროპის სამ-სამგზის ჩემპიონი და ამდენივე გზის პრიზიორია ბატუტზე მტომელი რუსუდან

ხოჭავაძე, რომლის სახეობა-საც სიღნაურში ოლიმპიური დებიუტი ექნება.

ჩვენს ქალთა გუნდშია საქართველოს ოლიმპიელთაგან კიდევ ერთი ყველაზე ტიტულოვანი, მშვილდოსანი ხათუნა ლორიგი (ქერივიშვილი). იგი არის ბარსელონის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი გუნდურ პირველობაში, ევროპის ჩემპიონი პირად და გუნდურ (ორგზის) ასპარეზობაში, აგრეთვე მესამე პრიზიორი პირად პირველობაში.

ვაჟებიდან ყველაზე ტიტულოვანია თავისუფალი სტილის მოჭიდავე ელდარ კურ-

ტანიძე. იგი არის ატლანტის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი, მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე და მესამე პრიზიორი, ევროპის ორგზის ჩემპიონი და მეორე პრიზიორი, ბრინჯაოს მედლის მფლობელი.


მსოფლიოს ჩემპიონატების პრიზიორები არიან ძიუდოსელები გიორგი ვაზაგაშვილი და გიორგი ერეკლევილი. პირველი ერთგზის ვერცხლისა და ორგზის ბრინჯაოს მედლის მფლობელია, მეორე კი თითოჯერ იყო მეორე და მესამე პრიზიორი. ამასთან, ორივენი არიან ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები...

ჩვენი ოლიმპიელების საშუალო ასაკი (25,4) ატლანტასთან შედარებით 1 წლითა და 1 თვით ნაკლებია (ატლანტაში გაცილებით ნაკლები იქნებოდა, მაშინ გუნდი რომ არ დაებერებინათ ყველაზე ასაკოვნებს, აფროსან გურამ ბიგანიშვილსა და ვლადიმერ გრუზდევს, რომლებიც მესაბამისად 46 და 44 წლისანი იყვნენ).


საქართველოს ოლიმპიელთაგან ყველაზე უფროსია ტყვიის მსროლელი ნინო უჩაძე, ყველაზე ახალგაზრდა — მხატვრულად ტანმოვარჯიშე ინგა თავდიშვილი, რომელიც 1982 წლის 20 ივლისს დაიბადა. ინგა ამავე დროს არის ყველაზე მსუბუქი (44 კილოგრამი).


ყველაზე მძიმეა ძიუდოსეტი ალექსი დავითაშვილი (125 კგ); ყველაზე მაღალია ალექსი მოდებაძე (191 სმ).

საქართველოს დელეგაციას ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიაზე, როგორც მედროშე, წარუძღვება ძალისხმევა გიორგი ასანიძე, რომელიც ჩვენს გუნდში ერთადერთი „მოქმედი“ მსოფლიოს რეკორდმენია.



ელდარ ხურბანიძე (მარჯვნივ) ატლანტის ოლიმპიურ სარბილზე; გიორგი შამაბაბილი (ზედა, მარჯვენა ფოტო) გიორგი რევაზიშვილი სიღნაურის წარმომადგენელი შამაბაბით ავირებს





**ავთანდილ გურასაშვილი**

ეს ზოოპარკი მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი (1884 წ.), უდიდესი და უმდიდრესია. აქ თავმოყრილია როგორც ავსტრალიის ეგზოტიკური ნადირ-ფრინველი, ისე მთელი მსოფლიოს ფაუნა, რითაც იგი ოლიმპიური თამაშების დღეებში აუარება სტუმარს მიიზიდავს. ოღონდაც, სიდნეისა და მის სტუმრებს ხუთი რგოლი ფაუნასთან მხოლოდ ამ ზოოპარკით როდი დააკავშირებს. ზოოლოგია, პირდაპირ თუ ირიბად, სიდნეის ოლიმპიურ თამაშებს რამდენიმე წლის წინათ დაუკავშირდა. დაიწყოთ იმით, რომ ახალი სამხრეთის უელსის შტატის ფაუნის ემბლემაზე ვხვდებით იხენისკარტასა და კაკადუსს.

# სიდნეი, ხუთი რგოლი და ზოოლოგიური მიმოსილვა

*სიდნეი, ოლიმპიური თამაშების მასპინძელი, ახალი სამხრეთის უელსის შტატის დედაქალაქია. იგი არის ავსტრალიის უდიდესი ქალაქი და საერთოდ, ყველაზე ურბანისტული ქალაქი დედამიწაზე. და რაკი ურბანისტული ქალაქი გარიყულია სოფლისა და დედაბუნებისგან, სიდნეელები მათდამი ნოსტალგიას თავიანთი სახელგანთქმული ზოოპარკითაც იკლავენ.*

იხენისკარტას ვხვდებით სიდნეის ოლიმპიური თამაშების ოფიციალურ ემბლემაზეც, სადაც მასთან ერთად გამოუსახავთ იქედნე და კუკაბარაც. ავსტრალიის ცხოველთა და ფრინველთა ამ წარმომადგენლებისთვის სახელებიც დაუნათლებიათ. ისინი: იხენისკარტა სიდი, იქედნე მილი და კუკაბარა ოლი დიდებულნი და ფრიად მოსიყვარულენი ჩანან ემბლემაზე, მაგრამ ბედის ირონიით, მწვანე კონტინენტის ის ცხოველები, რითაც უფრო ცნობილია ავსტრალია — კენგურუ და კოალა, მკაცრმა ფიურიმ უარყო. — მთელმა მსოფლიომ კარგად იცის, რომ ავსტრალია კენგურუსა და კოალას სამშობლოა, მან ასევე კარგად უნდა იცოდეს, რომ ავსტრალია

იხენისკარტას, იქედნესა და კუკაბარას სამშობლოცაა. სათილისმოდ სწორედ ამიტომ ვამჯობინეთ ავსტრალიის ფაუნის ეს სამი წარმომადგენელი — განმარტავენ ფიურის წვერები. კენგურუს მისტირის ბევრი ავსტრალიელი, რომლებსაც თურმე ერჩივნათ ოლიმპიური თამაშების ემბლემაზე ბუმერანგების ნაცვლად, რომლებითაც მორბენალი ათლეტია გამოსახული, ჩანთოსანი ეხილათ. პრინციპის, ტრადიციისა და გემოვნების საქმეა, თუ სიდნეელები რას გამოსახავდნენ თავიანთ ემბლემაზე და რას შეარჩევდნენ სათილისმოდ — კენგურუ იქნებოდა, ბუმერანგი, კაკადუ თუ მკაკადუ, არც სტუმარს შეუშლიდა ხელს და არც მასპინძელს, აი, ბაყაყებმა კი თავის დროზე ფრიად დიდი პრობლემა

შეუქმნეს ოლიმპიადის მასპინძლებს.

მართლაც, ოლიმპიური თამაშების მასპინძლები მაშინ, როცა ოლიმპიური სოფლის მშენებლობა დაიწყო, მოულოდნელ პრობლემას გადაეყარნენ.

აღმოჩნდა, რომ სოფლის მახლობლად უსაშველოდ ბევრი ბაყაყი ყოფილა. რა უშავდა, იმ ბაყაყებს თავიანთთვის რომ ეყიყინათ და არავისთვის ხელი არ შეეშალათ, მაგრამ მათი ზნე-ხასიათის მცოდნე ხალხმა თამაშების ორგანიზატორები დაარწმუნა, რომ ოლიმპიელებისა და ბაყაყების სიამატკბილობით მეზობლობის იმედი არავის უნდა ჰქონდესო. ისინი ვარაუდობდნენ, რომ ბაყაყები იმ ჭკობიდან გულა-ნაბადს აიკრავენ და ოლიმპიური სოფლის მყუდრო და ლამაზ ღია საცურაო აუზებში გადაბარდებიანო. ჰოდა, ამით შეშფოთებულმა თამაშების ორგანიზატორებმა ბაყაყების მოსალოდნელი გადასახლების წინააღმდეგ ბრძოლა გააჩაღეს. მათ ამ საქმეში ყველაზე თანამედროვე სამეცნიერო მეთოდებსაც მიმართეს.

იმისთვის, რომ გავით ბაყაყების მიგრაციის მარშრუტი, გადაადგილების სისწრაფე, ერთ-ერთი ყოყინა მინიატურული რადიოგადამცემითა და პიანინოს სიმისგან დამზადებული თხუთმეტსანტიმეტრიანი ანტენით აღჭურვეს.

თუ რით დასრულდა სიდნეელთა ბაყაყების წინააღმდეგ ბრძოლა და მათი თავგამოდება, ამას სიდნეიში შევიტყობთ, მანამდე კი ზვიგენებისა და ოლიმპიადის ურთიერთკავშირზეც ვისაუბროთ.



სიდნეის ოლიმპიადის თილისგები. იქაღნა მილი, იხვინსაარბა სილი და აუაბარა ოლი

ამ მოსალოდნელ ურთიერთკავშირს, უწინარეს ყოვლისა ტრიატლონისტებთან, ისე შეუშფოთებია ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორები, რომ დაზაფრულეებს დიდი სჯა-ბასი გაუმართავთ. ბოლოს თითქმის დარწმუნებულან, რომ ტრიატლონისტთა ასპარეზობას, რომელიც სიდნეის ყურის აკვატორიაში გაიმართება, მრავალი მაყურებელი კი ეყოლება, მაგრამ, სამაგიეროდ, შეჯიბრებას გულგრილად მოეკიდებიან ზვიგენებიო.

მასპინძლებმა, ალბათ, მართლაც კარგად იცინან, რომ საასპარეზო ტრასის მახლობლად შესაძლებელია ზვიგენების გამოჩენა, თუმცა, იმაშიც დარწმუნებულან, რომ რისკი მინიმალურიაო.

„ჩვენ მზად ვართ, საჭიროების შემთხვევაში, საცურაო ტრასა

შემოვფარგლოთ ბადებით ან წყალქვეშ დავამონტაჟოთ სამეთვალყურეო აპარატურა — ამბობს ტრიატლონისტთა შეჯიბრების ორგანიზატორთა შევი დევიდ ჰენსონი — მცირეოდენი ზიფათიც კი უნდა გამოირიცხოს და გამოირიცხება კიდევ“.

სიდნეის ზოოპარკის სპეციალისტი და ექსპერტი ჯონ უესტი ფიქრობს, რომ შემოდგომით (იქაური დროით გაზაფხულზე) ავსტრალიის სანაპიროებთან წყალი მეტისმეტად ცივია საიმისოდ, რომ მოცურავეთა მთავარი საშიშროება — ვეფხვისებრი ზვიგენი არ გამოჩნდეს.

— 400 მილიონი წელია, რაც ვეფხვისებრი ზვიგენები წყლის ტემპერატურასთან ერთად მიგრაციას განიცდიან. ამიტომ ძნელი საფიქრებელია, რომ ტრიატლონისტთა შეჯიბრების საცქერლად ან მათ შესაჭმელად ზვიგენებმა მარშრუტი შეცვალონ — ეს კი თქვა უესტმა, მაგრამ საოლიმპიადოდ თავად ზვიგენებს რა მოუვათ თავში და როგორ გუნება-განწყობილებაზე იქნებიან, ეს ეშმაკმა იცის.

ზღვისა და ოკეანეების ეს მტაცებელი თუ პირველად უკავშირდება ოლიმპიურ თამაშებს, სიდნეის ზეცას ტრადიციისამებრ

დაარღვევს ეს ბაყაყი ოლიმპიური სოფლის ბინადართა გყაღრობას?



სიდნეის ოლიმპიური სოფალი. ირგნაუბიან, რომ იგი საუაეთასოა აგვპარი სოფლაბის გგანაულობათა ისტორიაში



დაამშვენებს ციური ფრინველი, მშვიდობის სიმბოლო მტრედო, რომელიც თამაშების გახსნის ცერემონიაზე უამრავი რაოდენობით აიჭრება სტადიონის თავზე.

რაკი სიდნეის ოლიმპიური თამაშები რადაც-რადაციებით დაკავშირებია დელამიწის, ცისა თუ ზღვის ბინადართ, ერთი სიტყვით, ფაუნასა და საერთოდ, ბუნებას, ბარემ ამ ოლიმპიური თამაშების მასპინძლის კლიმატზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. თუმცა, ეს არის ერთ-ერთი საკითხი იმ ხუთიდან, რომელიც არ არის საჭირო ვიცოდეთ სიდნეის შესახებ. ყოველ შემთხვევაში, ამას ირწმუნება დავიდ დელი, ავტორი წიგნისა „ასი რამ, რაც საჭიროა იცოდეთ ავსტრალიის შესახებ“.

და მაინც, ოცნებისა არ იყოს, რაკი ცოდნას კაცი არ მოუკლავს, ამასაც გაცნობებთ: სიდნეი მეორე უხვნალექიანი ქალაქია ავსტრალიაში



ბრიატლონისებთა მთავარი საშიშროება – ჰეფხისაბური ზვიგანი

(48 დუიმი წელიწადში). ამ მხრივ იგი ცოტათი ჩამორჩება დარუენს, მაგრამ მელბურნზე მალანალექიანია. ამიტომ სიდნელები თავიანთ ქალაქს კოკისპირული წვიმების ქალაქს უწოდებენ.

ჰო, მელბურნზე გაგვახსენდა — ეს ქალაქი კენგურუს სამშობლოდან პირველი იყო, რომელმაც ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლა. მაშინაც, 1956 წელს, ხუთი რგოლი ისე გადაეჯაჭვა ცხოველთან დაკავშირებულ პრობლემას, რომ მელბურნი იქიდან ვეღარც გამოვიდა.

იმ თამაშებამდე სულ რამდენიმე თვით ადრე აღმოჩნდა, რომ არათუ ამ ქალაქში, მთელს ავსტრალიაში ცხენოსანთა შეჯიბრების გამართვა შეუძლებელი ყოფილა.

საქმე ის იყო, რომ ავსტრალიაში კვლავ ძალაში რჩებოდა ძველთაძველი კანონი, რომლის მიხედვით ამ კონტინენტზე ცხოველთა შეჯიბრება მხოლოდ ექვსთვიანი კარანტინის მერე შეიძლებოდა, ისიც ორი თუ სამი ქვეყნიდან. ეს იმით აიხსნებოდა, რომ



პლიაჟის ფრანგურთელთა სარბიელი სანაპიროზე, სადაც, ალბათ, ჰეფხისაბური ზვიგანი არ გამოჩნდება

მალაღანვითარებულო მეცხოველეობით განთქმულ ამ ქვეყანაში ფრიად უფროხილდებოდნენ თავიანთ მსხვილფეხა თუ წვრილფეხა ცხოველებს. ავსტრალიაში ცხენების ეპიდემია ერთხელაც არ ყოფილა და „ტრადიცია“ რომ არ დარღვეულიყო, კანონს წესისამებრ იცავდნენ და ახლაც იცავენ. ბოლოს ცხენოსანთა შეჯიბრება სტოკჰოლმმა გადაარჩინა, როცა ოლიმპიადის პროგრამით მხედართა ასპარეზობას უმასპინძლა.

პირველად და უკანასკნელად აი, ასე ჩატარდა არა თუ ორ ქალაქში, არამედ ამდენივე სახელმწიფოში და სხვადასხვა კონტინენტზე ოლიმპიური თამაშები.


ეს ყოველივე კარგად ახსოვთ ცხენოსნებს და ამიტომაც დროზე დაიჭირეს თადარიგი. სიდნეის ოლიმპიური თამაშების მონაწილე პირველი უცხოელი ცხენი, იტალიური „ტოკიოჯი“, ამ ქალაქში „ბონგ 747“-


ით 22 აგვისტოს ჩააფრინეს, სულ კი სიდნეიში 237 მისი თანამოძმის დესანტს გადასხამენ.

ცხენების ასეთი შემოსევა არ ახსოვს სიდნეის და საერთოდ ავსტრალიას.



1956 წელს მელბურნში არაშეჯავალმა ცხენოსნებმა სტოკჰოლმში გადაინაცვლეს და ოლიმპიური თამაშების ჰატარა ცაცხლი თაჰიანთის დაინთას. ეს ჰაბივი ნილალ ხვალ მვალ ჰანს ჰიანეს





15 სექტემბრიდან შორეულ სამხრეთში მიღეთის ხალხი შეიყრება; ავსტრალიაში, სიდნეი-ქალაქსა და მის შემოგარენში რჩეული ათასები იბურთავენ, გაცურავენ, ერთმანეთს მუშტებს მოუღებენ, ხალხიანზე წამთაქცევენ, რაღაც-რაღაცებს შორს გასტყორცნიან, ირბენენ... ერთი სიტყვით, სიდნეის ზაფხულის ოლიმპიური თამაშები კარს მოგვდგამს და ამ პატარა წერილ-მიმოხილვაში იმათ გავაცნობთ, რომელთაც უმაღლესი მწვერვალების დაპყრობა და სპორტული საჰაეროს გათვება განუზრახავთ. მძლეობით დავიწყეთ.

# დედოფლის რაინდები სიდნეიში გზნახეთ, პინსა პართ!



მორის გრინი


სპორტის დედოფლად ნოდებული ეს სახეობა ძირებით ვერ კიდევ უძველესი ბერძნული ოლიმპიადებიდან მოდის. დიას, გარბოდა ის მეომარი ბერძენი, 42 კილომეტრისა და 195 მეტრის გალევის შემდეგ ათენში შეჭრილმა გამარჯვებისა რომ შეჰყვირა და სული უფალს მიაბარა. მართონს სიდნეიშიც ირბენენ, ათ კილომეტრსაც, ხუთსაც, მოკლედ, იმ გზებზე მგლები შედგებიან, მძლავრი ფილტვების პატრონები, რომელთა დაღლისა არა უწყიან და რამე რომ იყოს, დედამინას შემოურბენენ. კენიელები და ეთიოპიელები, ალჟირელი და მაროკოელი არაბობა — აი, ის ხალხი, ვინც ავსტრალიაში ყველაზე მაგარი მგლობა უნდა გასწიოს. ჰიშამ ელ-გურუჯი, ჰაილე გაბრესილასიე, მოზეს ტანუი... სტაიერი ბიჭები ოლიმპიადაზე საოცრებებს ჩაიდენენ, მაგრამ ცოცხად არ ჩაგვეთვლება თუ ვიტყვით: მათზე დიდი ყურადღება სიდნეიში გეპარდებს ერგებათ, და კუნთულ სპრინტერებს, რომლებიც დედამინის შემორბენაზე უკაცრავად და, მიჩენილ გზას კიტყვიის სისწრაფით გალევენ ხოლმე. ის გზა

მოკლე იქნება, სულ 100 მეტრი მარიონ ჯონსისა და მორის გრინისთვის, არაუმეტეს 400-ისა მაიკლ ჯონსონისთვის. ოლონდინტრიგაა უზარმაზარი: ჯონსი ისტორიის ამოყირავებას ლამობს, ოლიმპიადიდან სახლში ხუთი ოქროს მედლით დაბრუნება განუზრახავს (ასეთ რამეს ჩვენი პლანეტა ვერ არ მოსწრებია); გრინი გაუმადარია, იმთავის ასმეტრიანზე ათწამიან ზღვარს ვერ კიდევ როდის ჩამოსცდა, მსოფლიოს რეკორდიც დაინარჩუნა და ახლა იხახის, 9 მთელსა და 6 მეთედში უნდა ჩავეტიოო. ვერც ჯონსონს ყოფნის მსოფლიოს რეკორდსმენობა და ახალ სიმაღლეს ეპოტინება, ისე რომ ბარძაცისა და სხვა ტრავემებს სულ არადა ადგებს... და სხვები... მორბენლებზე, ვთქვით, მაგრამ სიდნეიში ტრინე ჰატესტაღი მუხს გატყორცნის, სხვები — ბადროს, ბირთესა და უროს, ხაჯიერ სოტომაიორი მაღლა ახტება, ტატიანა კოტოვა მორს გადახტება, სტეისი დრაგილა ჭოკს დაეყრდნობა და საერთოდ — ეს მძლეოსნობაა, სპორტის დედოფალი და ყველა ოლიმპიადის მარგალიტი ათადან და ბაბადან...



მაიკლ ჯონსონი

მარიონ ჯონსი







ოლიგიალუზა "ლარია თია სამი" ერთ-ერთ ჯაიბად ალონზო პერინი (N:33) აიჩრიას

ლონაში დაუშვას. იქიდან მო-  
ყოლებული ვაჟ კალათბურთე-  
ლთა ტურნირი კინოს დაემს-  
გავსა — ამერიკელი ვარსკე-  
ლავები თამაშობენ, დანარჩენე-  
ბი კი უეფრებენ. საკითხავი ისღა  
რჩება, ვინ უფრო მეტ წინაღ-  
მდეგობას გაუწევს ფავორიტს  
და ვინ უფრო ნაკლები ანგარი-  
შით დამარცხდება.

სიდნეიში ძირითადი ბრძოლა  
მეორე-მესამე ადგილებისთვის  
გაიმართება. ვინ დაუშვებებს  
გვერდს ამერიკას? იქნებ ვლად-  
დუ დივაცის და ალექსანდრ ჯო-  
რჯევიჩის გარეშე დარჩენილი,  
მაგრამ მაინც ძალიან ძლიერი,  
მსოფლიოს ჩემპიონი იუგოსლავ-  
ვია; იქნებ ევროპის ჩემპიონი  
და ბოლო დროს მილონიერე-  
ბული იტალია; იქნებ ლიტვა-  
მაც მოიქნიოს კუდი, მერე რა,  
არვიდას საბონისი რომ არ ეყო-  
ლებას; ავსტრალიასაც ნუ და-  
ვივიწყებთ, გამოცდილი გუნდია,  
თანაც მასპინძელი.

ერთი სიტყვით, ინტრიგა და-  
ნარჩენი გუნდების შეხვედრე-  
ბში უნდა ვეძიოთ, თორემ ჩემ-  
პიონის საკითხი, პრაქტიკულად,  
გარკვეულია. ამერიკელთა სა-  
ოლიმპიადო განწყობაზე ეს ფა-  
ქტიც ნათლად მეტყველებს:  
გუნდს ერთდროულად სამი კა-  
პიტანი ეყოლება: ჯეისონ კი-  
დი, ალინზო მურნინგი და გე-  
რი პეიტონი.

**პაჟ** კალათბურთელთა ტუ-  
რნირის ფავორიტის და, იქნებ,  
გამარჯვებულის სამებნელად  
შორს წასვლა ნაღდად არ არის  
საჭირო — აგერ, ეროვნული  
საკალათბურთო ასოციაციის  
თორმეტი სუპერვარსკვლავით  
შეგვებული ამერიკის შეერთე-

ბული შტატების ნაკრები. ეს  
გუნდი, „დრიმ თიმ სამი“, წინა-  
მორბედებთან შედარებით ნაკ-  
ლებად ბრწყინავს — მას არ  
ჰყავს მაიკლ ჯორდანი, მეჯიკ  
ჯონსონი და ლარი ბერდი („დრ-  
იმ თიმ ერთი“), არც მაკელ ონი-  
ლი, დევიდ რობინსონი და ჰა-

კიმ ოლაჯუონი („დრიმ თიმ  
ორი“). მიუხედავად ამისა, წა-  
რმოუდგენელია ვინმემ აჯობოს  
გერი პეიტონს, ვინს კარტერს,  
კევინ გარნეტს, ალონზო მუ-  
რნინგს და მათ თანაგუნდლებს.  
პროფესიონალები ოლიმპიურ  
თამაშებზე 1992 წელს, ბარსე-




იან ტორფი

ისინი თევზები არიან, დღეს  
უკვე ამ სიტყვის არცთუ გადა-  
ტანითი მნიშვნელობით: ფირმა  
„სპიდომ“ ავსტრალიელ მოცუ-  
რავეებს ისეთი საცურაო კოს-  
ტიუმები ჩააცვა, თევზის კანი-  
ვით სრიალა რომაა და ნყალსაც  
ნაკლებად ეხახუნება. მაგრამ ეს  
არ არის მთავარი, თევზის კანი  
საქმეს რას შევლის, ცურვა თუ  
არ იცი. ამიტომ სიდნეის ოლი-  
მპიადის ფავორიტთა ძალას კო-  
სტიუმით კი არა, ხელ-ფეხის კარ-  
გად გაქნევის უნარით ვაფა-  
სებთ. გამორჩეულთა თითებზე  
ჩამოთვლა შეიძლება: 17 წლის  
ფართოტერფება ოზი იან  
ტორფი და დაახლოებით მისი  
კბილა ჰოლანდიელი, პიტერ ვან  
ჰუგებანდი, ჰოლანდიელივე ინგე-  
დე ბრუინი, რეკორდების არსე-  
ბობა კარიერის დასალიერზე  
რომ გაიხსენა და ვიკინგი ტე-  
რეზა ალსამარი, ქალი, მაგრამ  
რა ქალი! კიდევ რუსი ალე-  
ქსანდრ პოპოვი, ვინაც ბოლო  
ხანებამდე ოქროს მედლები  
სულ ნიჩბით ხვეტა და ბოლოს  
— სრულიად ამერიკის ნაკრე-  
ბი: ლენი კრეიზელბერგი და  
სხვა მრავალი! იანკთა საცუ-  
რაო ბატონობა ჯერაც ძალაშია,  
ვინძლო იგი სიდნეის ოლიმპი-  
ადამ შეარყიოს.



ბარეზა ალსამარი

ინგე დე ბრუინი





XV

wi

ham



# საქართველო

მარცხნიდან: ლაზარო, ბაგდასიანი, ლაზარო, იულიანო, ფილიპესკუ, იონუტ, ლუპესკუ, გეორგიუ პაპესკუ, იონელ, განეა, ლიგუ, ჩობოტარიუ;  
სხვიდან: კონსტანტინე გალუპო, დორინელ მუნტეანუ, ადრიან მუტუ, დან პეტრესკუ, ადრიან ილიე